Arabesque

ᲐᲠᲐᲑᲔᲡᲙᲘ ᲡᲐᲠᲔᲙᲚᲝ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ No3 ᲛᲐᲘ

ISSN 1512-3294

ქართული ბალეტის მეგობრები

FRIENDS OF GEORGIAN BALLET

+995 32 999 364

No3/4(7/8)'07

Arabesque

Ballet Magazine „არაბესკი" ჟურნალი ბალეტზე

გარეკანზე:

პირველ გვერდზე: სცენა სპექტაკლიდან „დონ კიხოტი", ნინო ანანიაშვილი და ანდრეი უვაროვი.

მეოთხე გვერდზე: სცენა სპექტაკლიდან „ლაურენსია". ლალი კანდელაკი. ლადო ვაჩნაძის ფოტოები.

ზაქარია ფალიაშვილის სახელობის
თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო
თეატრის საბალეტო დასის ჟურნალი

QUARTERLY MAGAZINE IN GEORGIAN ABOUT
THE BALLET COMPANY OF THE TBILISI Z. PALIASHVILI
OPERA AND BALLET STATE THEATRE

საბალეტო დასის სამხატვრო ხელმძღვანელი
ნინო ანანიაშვილი

ARTISTIC DIRECTOR OF THE BALLET COMPANY
NINO ANANIASHVILI

რედაქტორი	Editor
ილია თავბერიძე	ILIA TAVBERIDZE
ტექნიკური რედაქტორი	Technical Editor
ქეთევან ნოზაძე	KETEVAN NOZADZE

ნომერში გამოყენებულია
ლადო ვაჩნაძის, ბალეტის მსახიობთა და
ოპერისა და ბალეტის თეატრის მუზეუმის ფოტოები.

თბილისი, რუსთაველის გამზ. 25,
ტელ.: 98 32 54, 99 93 64

25, RUSTAVELI ave. 0108, TBILISI, GEORGIA
TEL: +995 32 99 93 64

UDC(უაკ)792.8
A-70

ISSN 1512-3294

© 2007 JB Design

www.ballet.ge



6

10



42

19

40

22

04 BALLET-NEWS

06 გედის დაბრუნება
ილია თავბერიძე

10 ახალი სპექტაკლები
ლაურენსია
მერი გურგენიძე

14 სტუმარი
ალექსანდრე გრანტი:
„თქვენს დასთან მუშაობა
სასიამოვნო იყო“
ნინი ახვლედიანი

15 სტუმარი
გენ სტივენსონი:
„ამჯერად დასის
შესაძლებლობებს ვსწავლობ“

16 სტუმარი
ირინა კოლპაკოვა:
„კმაყოფილი ვარ
ქართული გალეტის დონით“
ნინო მდივანი

18 სტუმარი
კევინ მაკკენზი:
„ქუდს ვიხდი
თქვენი მოცეკვავეების წინაშე“

19 გასტროლის წინ
საქართველო – მისი საზრუნავი
ელიზაბეტ კენდელი

22 გასტროლი
„დაუთმეთ ამ დასს
დიდი სცენა!“

31 BALLET-NEWS

33 თაობა
სპექტაკლის დაბადება
კამერამ აღბეჭდა
ლიკა ლაბაძე

35 ოსტატი
სვეტლანა გოჩიაშვილი
ნინო მდივანი

36 ხსოვნა
ჩემი საყვარელი აღმზრდელი -„ნიუსია“
ირინე ჯანდიერი

37 BALLET-NEWS

40 გასტროლი
ეიფმანი თბილისში

42 მცირე საბალეტო
ენციკლოპედია

მორიხირო ივატა (მარცხნიდან მესამე) სპექტაკლის შემდეგ

გაიხსნა ახალი სეზონი

156-ე თეატრალური სეზონის პირველი საბალეტო სპექტაკლი 22 სექტემბერს გაიმართა. საბალეტო დასმა წარმოადგინა ფ. ჰეროლდის ბალეტი „ამაო სიფრთხილე“ (ფრედერიკ ეშტონის ქორეოგრაფია). ბალეტის პრემიერა თბილისში 2005 წლის 30 ივნისს შედგა. ამ ბალეტის ლიცენზიის მფლობელი ალექსანდრე გრანტი, ინგლისის სამეფო თეატრის ყოფილი მოცეკვავე და ალანის პარტიის პირველი შემსრულებელი, მაშინ პრემიერას ვერ დაესწრო და თბილისს სექტემბერში ეწვია. დამდგმელმა ბალეტმაისტერმა დასთან რამდენიმე რეპეტიცია ჩაატარა და მუშაობით კმაყოფილი დარჩა.

ნინო ანანიაშვილი და ალექსანდრე გრანტი

სპექტაკლში მთავარი პარტიები იცეკვეს ცისია ჩოლოყაშვილმა (ლიზა), ლაშა ხოზაშვილმა (კოლენი) და დიმიტრი ჯალაღანიამ (მარცელინა). ალანის პარტიის შესასრულებლად თბილისში მოწვეულ იქნა დიდი თეატრის სოლისტი მორიხირო ივატა (იაპონია). თბილისელ ბალეტომანებს იგი კარგად ახსოვთ. 2000 წელს ჯ. ბალანჩინისა და ვ. ჭაბუკიანის სახელობის საერთაშორისო ფესტივალზე, თბილისში, მან გრან პრი და სპეციალური პრიზი მოიპოვა „საკუთარი ქორეოგრაფიისათვის“.

მორიხირო ივატას მიერ ალანის პარტიის შესრულებას ხასიათის მასშტაბურობა გამოარჩევდა. იაპონელმა მოცეკვავემ 2 ოქტომბრის სპექტაკლშიც იცეკვა.

პრესკონფერენცია პრემიერის წინ

13 აპრილს, ბალეტ „ლაურენსიას“ პრემიერის წინ, დამდგმელი ჯგუფის წევრები მედიის წარმომადგენლებს შეხვდნენ. ჭაბუკიანის ქორეოგრაფიის მიხედვით შექმნილი ბალეტი 28 წლის შემდეგ კვლავ დაუბრუნდა სცენას. „ეს იდეა ნინო ანანიაშვილს ეკუთვნის, – განაცხადა პრესკონფერენციაზე ბალეტის ახალი რედაქციის დამდგმელმა ქორეოგრაფმა ნუკრი მაღალაშვილმა. გასული სეზონის ბოლოს მან შემომთავაზა „ლაურენსიას“ განახლება. რა თქმა უნდა, დიდი სიამოვნებით დავთანხმდი, თუმცა ეს ძალიან დიდი პასუხისმგებლობაა, რადგან ვახტანგ ჭაბუკიანი არა მარტო საქართველოსთვის, არამედ მთელი მსოფლიო საბალეტო სამყაროსთვის ლეგენდარული პიროვნებაა, რომელმაც მამაკაცის ცეკვის ჩამოყალიბებაში უდიდესი როლი შეასრულა. მის შედევრთან დაახლოება და ცოტა სხვანაირად გაკეთება ძალიან საპასუხისმგებლო საქმეა“.

განახლებული სპექტაკლის დამდგმელი მხატვრის ალექსანდრე ვასილიევის აზრით, სპექტაკლის ახალ ვერსიას არავითარი საერთო არა აქვს გამოჩენილი სოლიკო ვირსალაძის მხატვრობასთან, რომელსაც ეკუთვნოდა ჭაბუკიანის სპექტაკლის სცენოგრაფია. „ჩვენ გთავაზობთ ახალ, 21-ე საუკუნის დადგმას. პუბლიკას დღეს ახალი ფერების, ახალი დეკორაციებისა და კოსტიუმების ნახვა სურს. ჩვენ შევქმენით ახალი ეპოქისა და თანამედროვე მაყურებლის ესთეტიკური მოთხოვნების შესაბამისი დეკორაცია და კოსტიუმები“.

„მე და ბატონმა ნუკრიმ ღირებული და საინტერესო ნომრები შევარჩიეთ, მაქსიმალურად შეიკვეცა პანტომიმის ადგილები და აქცენტი მთლიანად ცეკვაზე გაკეთდა. ორკესტრმა დაძლია ეს საკმაოდ რთული პარტიტურა“, – განაცხადა დამდგმელმა დირიჟორმა რევაზ ტაკიძემ.

რევაზ ტაკიძე, ალექსანდრე ვასილიევი, ნუკრი მაღალაშვილი და ნინო ანანიაშვილი

ბალეტის სამხატვრო ხელმძღვანელმა ნინო ანანიაშვილმა იმედი გამოთქვა, რომ „ლაურენსია“ თბილისის საბალეტო დასის სავიზიტო ბარათი გახდება.

ვასილ ახმეტელი, ვერა წიგნაძე, ნინო ანანიაშვილი

დებიუნება სცენაზე

19 აპრილს, ორწლიანი შესვენების შემდეგ, სცენას დაუბრუნდა პრიმა-ბალერინა ნინო ანანიაშვილი, რომელიც სცენაზე ოდეტა-ოდილიას პარტიაში (პ. ჩაიკოვსკის „გედების ტბა“) გამოსვლით დაბრუნდა. მას პარტნიორობას ვასილ ახმეტელი უწევდა.

მაყურებელმა ხანგრძლივი ოვაცია გაუმართა მსოფლიოში აღიარებულ ვარსკვლავს. სცენაზე დაბრუნება ნინო ანანიაშვილს ერთ-ერთმა პირველმა, ლეგენდარულმა ვერა წიგნაძემ მიულოცა.

ვახტანგ ჭაბუკიანისა და ვერა წიგნაძის ვარსკვლავები გედის თანავარსკვლავედში

საერთაშორისო ასტრონომიულ კატალოგში – „კოსმოსი-დედამიწა“ შეტანილია ვახტანგ ჭაბუკიანისა და ვერა წიგნაძის ვარსკვლავები. ასეთი გადაწყვეტილება საზოგადოება „კოსმოსი-დედამიწამ“ თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის საბალეტო დასის სამხატვრო ხელმძღვანელის ნინო ანანიაშვილის წარდგინების საფუძველზე მიიღო. 2007 წლის აპრილიდან გედის თანავარსკვლავედს საბალეტო სამყაროს ორი გამოჩენილი მოღვაწის სახელობის ვარსკვლავი დაამშვენებს. ამ გადაწყვეტილების შესახებ ნინო ანანიაშვილმა და თეატრის მმართველმა დავით საყვარელიძემ 18 აპრილს, ჭაბუკიანის ქორეოგრაფიის მიხედვით აღდგენილი ბალეტის, „ლაურენსიას“ პრემიერის წინ განუცხადეს თეატრში შეკრებილ საზოგადოებას. იმავე დღეს თეატრის ცისფერ დარბაზში გაიხსნა ფოტოგამოფენა და ვერა წიგნაძის ბიუსტი (მოქანდაკე პაატა გიგაური).

ვერა წიგნაძის ბიუსტი

2006 წლის ნომინანტები



საგამომცემლო სახლმა „სახელებმა“ მეხუთე, საიუბილეო, ყოველწლიური კატალოგი გამოსცა. „სახელები 2006“ გასული წლის ერთგვარი მატიანეა. მოწვეული ჟურნალისტებისა და ექსპერტების წერილებში შეფასებულია 2006 წელს ქვეყნის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში მომხდარი მნიშვნელოვანი მოვლენები. 700 გვერდიან კატალოგში ცალკე ადგილი აქვს დათმობილი 2006 წლის თბილისურ საბალეტო პრემიერებს. „სახელები 2006“-მა დაასახელა წლის მოცეკვავეები – ეს ტიტული ლალი კანდელაკსა და ირაკლი ბახტაძეს მიენიჭათ, გასულ წელს თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის სცენაზე შესრულებული სოლო პარტიებისათვის, განსაკუთრებით ბალეტში – „რომეო და ჯულიეტა“. სწორედ ეს ბალეტი იქნა მიჩნეული წლის საუკეთესო საბალეტო სპექტაკლად, ხოლო დამდგმელი მხატვარი დავით მონავარდისაშვილი წლის სცენოგრაფად იქნა დასახელებული. წლის დებიუტი – ასე შეფასდა ნინო გოგუასა და ლაშა ხოზაშვილის პირველი გამოსვლა ა. ადანის ბალეტში – „ჟიზელი“. „სახელები 2006“-ის პრეზენტაცია სასტუმრო „ქორთიარდ მარიოტში“ 15 სექტემბერს გაიმართა.

გელის ლებრუნება

ილია თავგერიძე

ნინო ანანიაშვილის საქართველოში დაბრუნების შემდეგ მომრავლებულმა საბალეტო დღესასწაულებმა გასულ გაზაფხულზე, შეიძლება ითქვას, პიკს მიაღწია. 18 აპრილს ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრში „ლაურენსია" წარმოადგინეს. ვახტანგ ჭაბუკიანის ქორეოგრაფიის ახალი ვერსიის პრემიერამ საკმაოდ ემოციურად ჩაიარა. მეორე დღეს კი დღესასწაულის გმირი თავად პრიმა-ბალერინა გახლდათ. იგი სცენას დაუბრუნდა და პ. ჩაიკოვსკის „გედების ტბაში" იცეკვა. ცნობილია, რომ „გედების ტბის" დადგმის შემდეგ საბალეტო ხელოვნებას განვითარების ახალი ეტაპი დაუდგა. ამიტომ, გასაკვირი არ უნდა იყოს, რომ ნინო ანანიაშვილმა სწორედ ოდეტა-ოდილიას პარტიაში გამოსვლით გადაწყვიტა სცენაზე დაბრუნება. თუმცა თავად ხშირად აღნიშნავს, რომ ამ ბალეტთან ბევრი სასიამოვნო მოგონება აკავშირებს. საბალეტო კარიერა დიდ თეატრში მან სწორედ ოდეტა-ოდილიას პარტიაში გამოსვლით დაიწყო. თეატრში შეკრებილი და მის მიღმა დარჩენილი ათასობით გულშემატკივარი კარგა ხანია ელოდა საბალეტო ვარსკვლავის თბილისურ სპექტაკლებს. პირად ცხოვრებაში ბედნიერი მოვლენის – ნინო ანანიაშვილი ერთი წლის წინ დედა გახდა – გამო მან ბოლო სპექტაკლი 2005 წლის იანვარში თბილისში იცეკვა (მარი, პ. ჩაიკოვსკის „მაკნატუნაში"), განვლილი ორი წელი კი – დაძაბული რიტმით იცხოვრა და საკუთარ თავში მონახა საიმისო ძალა, რომ მაყურებელს ისეთივე ნინო ანანიაშვილი ეხილა, როგორიც წლების წინ ახსოვდათ. და ვისაც იგი არასოდეს უნახავს სცენაზე, მას არ უნდა გაუჩნდეს იმის განცდა, რომ პრიმა-ბალერინა შეცვლილია; მისი ცეკვა ისეთივე პოეტური და შინაგანი ექსპრესიითაა სავსე, როგორც წინათ. ოდეტას პირველი გამოსვლისთანავე ანანიაშვილმა სცენაზე შემოიტანა უდიდესი საიდუმლო გედის ცხოვრებისა, რომელსაც დახვეწილი ქორეოგრაფიული ლექსიკით მოუთხრობდა პრინცს (ვასილ ახმეტელი). იგი მასში ეძებდა მხსნელს, რომელსაც ჯერ სახესაც არ უჩვენებდა და დიდი, მუქი, შეშინებული თვალებით მკლავებს ქვევიდან იცქირებოდა. ასე დაიწყო სიყვარულის თემის განვითარება პრიმა-ბალერინამ, რომელიც მთელი თეთრი სცენის განმავლობაში პარტნიორთან გულწრფელი დიალოგით წარმართა.

გაუმართლა თეატრში ახლახან დაბრუნებულ ვასილ ახმეტელს. მერსინისა და მაკედონიის თეატრებში ათწლიანი მოღვაწეობის შემდეგ იგი კვლავ დასის სოლისტია და უკვე ორჯერ იცეკვა „გედების ტბაში". პირველ სპექტაკლში – დიდი თეატრის პრიმა-ბალერინასთან, მარია ალექსანდროვასთან, ახლა კი – ნინო ანანიაშვილთან ერთად. მათი დუეტი „გედების ტბაში" პოეტურიც იყო და სევდიანიც. მაგრამ, ამის განმაპირობებელი მაინც ნინო ანანიაშვილი გახლდათ, რომლის მოძრაობის ყოველი შტრიხი, ხელის მტევნების საოცარი თრთოლვა, თავის თითქოს შეუმჩნეველი დახრა, კორპუსის მსუბუქი მიმოხვრა მთელ სპექტაკლს გასდევდა.

ანანიაშვილის ჰაეროვანი პლასტიკა, მსუბუქი ნახტომი და ცეკვის მანერა პარტნიორს ეხმარებოდა თავისუფალი ყოფილიყო თავისი ვარიაციებისას. გრძელი და რთული „თეთრი ადაჟიოს" პლასტიკური ტექსტის თითოეული ფრაზით, ორმაგი პირუეტებით, არაბესკებით, პარტნიორის მიერ ხელში ზევით აწევითა და ქორეოგრაფიულად სწორად დასმული აქცენტებით შემსრულებლებმა მუსიკისა და საკუთარი შინაგანი თავისუფლების ჰარმონიულობას მიაღწიეს. და როცა ოდეტა-ანანიაშვილი პარტნიორის ხელებზე გადაიხარა და მთელ სიგრძეზე გაიშალა, ეს მომენტი ზუსტი პოეტური ინტონაცია აღმოჩნდა გედის შინაგანი ემოციის გადმოსაცემად.

ოდეტა – ნინო ანანიაშვილი, ზიგფრიდი – ვასილ ახმეტელი

მაგრამ, ახლა არაა აუცილებელი იმაზე საუბარი, როგორი იყო მისი ტექნიკური მოძრაობები, პირუეტები და 32 ფუეტე, რომელიც ბრწყინვალედ შეასრულა. ეს ნინო ანანიაშვილის კარიერისათვის აღარაა მნიშვნელოვანი. ამას ყურადღებას ოცდახუთი წლის წინ აქცევდნენ, როცა იწყებოდა მისი აღმასვლა საბალეტო სამყაროში და საერთაშორისო კონკურსებს იპყრობდა თავის პარტნიორებთან ერთად. დღეს ის ოსტატია, მსოფლიო მნიშვნელობის მოცეკვავე, რომლის ყოველ ნიუანსს სცენაზე თავისი დატვირთვა აქვს. იგი უკვირდება საკუთარ საცეკვაო ლექსიკას და უბრალოდ კი არ კითხულობს ლევ ივანოვისა და მარიუს პეტიპას გაუხუნარი ქორეოგრაფიიის საიდუმლოს, არამედ ცდილობს, მაყურებელიც გაიყოლოს ამ საოცრად საინტერესო და დრამატულ სამყაროში. აქ ყველაფერი ბუნებრივია და არ არის შეთხზული. ზოგჯერ ჩაფიქრებული და თავდახრილია მისი ოდეტა, შემდეგ სახე უბრწყინდება, მორცხვად იღიმის და ასე გადმოსცემს გედის სულიერ მდგომარეობას, რომლის მსგავსი მსოფლიო ბალეტის ისტორიამ მხოლოდ რამდენიმე იცის. ნინო ანანიაშვილი არ ცეკვავს მხოლოდ მოცემული ქორეოგრაფიული ტექსტის დაცვით, იგი უშუალოდ გრძნობს, განიცდის და ცხოვრობს გმირის ცხოვრებით. კულისებიდან ვადევნებდი თვალს ამ მშვენიერებას და როცა პრინცთან პირველი შეხვედრით დამფრთხალი ოდეტა-ანანიაშვილი სცენის მარჯვენა კუთხეში ხელაწეული ცდილობდა სახის დაფარვას, პრინცის მოახლოებისას თითქოს შეშინებული ისე შეკრთა, რომ იფიქრებდი, იგი მართლა არ ელოდა მის გამოჩენას.

სრული კონტრასტი იყო ნინო ანანიაშვილის გამოსვლა მეორე მოქმედების მეჯლისის სცენაში. ოდილია – შავი გედის გასაოცარი მიმოხვრით შემოიჭრა იგი სცენაზე როტბარტთან – ირაკლი ბახტაძესთან ერთად. ამაყი, ოდნავ ირონიული და მედიდური გამომეტყველებით ცეკვავდა პა დე დეს.

„გედების ტბამ“ დროთა განმავლობაში ბევრი ცვლილება განიცადა. გამონაკლისი არც თბილისური სპექტაკლია, სადაც ფინალში პრინცი სიზმარში იღუპება და სარეპეტიციო დარბაზში გამოღვიძებული ცდილობს მეხსიერებაში აღიდგინოს ოდეტას სახე.... მაგრამ, ფინალურ სცენაში, სარკეებიან დარბაზში მონარნარე თეთრი გედი – ნინო ანანიაშვილი არ ახდენს გამქრალი, სიზმრისეული გედის ასოციაციას. ის სიყვარულისთვის ძლიერი, გულისხმიერი და პოეტური გმირია.

როტბარტის პარტია „გედების ტბის“ თბილისურ რედაქციაში არ არის ბევრი ვარიაციით დატვირთული, მაგრამ პირველ მოქმედებაში ირაკლი ბახტაძემ ვარიაცია ენერგიულად და ტექნიკურად ზუსტად იცეკვა, მეორე მოქმედებაში კი მისი ხასიათის მანერა და ჟესტები შავი გედის შინაგან განწყობასთან იყო თანხვედრილი.

ნინო ანანიაშვილის ცეკვასთან ერთად საკმაოდ კარგად გამოიყურებოდა თეატრის კორდებალეტი. მთლიანობაში სპექტაკლი წარმატებული და საზეიმო გამოდგა.

ნინო ანანიაშვილის დაბრუნება სცენაზე პრიმა-ბალერინას კარიერაში ახალი და მნიშვნელოვანი ეტაპია. ურთულესი შრომით იქნა მიღწეული თავად ეს კარიერა, რომელმაც ბევრი გამარჯვება მოუტანა მას. მახსენდება, იგორ ზელენსკიმ, მსოფლიო ბალეტის ვარსკვლავმა, თბილისში ინტერვიუს დროს მითხრა: „ნინო ანანიაშვილი არის მაგალითი იმისა, თუ როგორ უნდა ააგო ბალეტში საკუთარი კარიერა“. სიმართლე გითხრათ, ამ სიტყვებზე ახლა უფრო დავფიქრდი, როცა ერთხელ დანიშნული სპექტაკლის წინ მან ტრავმა მიიღო და უმოკლეს დროში შეძლო ფორმის აღდგენა; როცა ვუცქერდი მის რეპეტიციებს, სადაც იგი გრიმის, დეკორაციისა და კორდებალეტის გარეშე, პარტნიორებთან ერთად, სრულყოფდა ცეკვის სტილს, აზუსტებდა ნახაზს (ასეთი მასტერ-კლასი ნებისმიერი თეატრის საბალეტო დასისთვის საოცნებო იქნება); როცა ვხედავდი, რამდენად თავმდაბალია იგი რეპეტიტორებთან, რომლებიც მასთან მუშაობდნენ, როგორ იღებდა მათგან რჩევებს, შენიშვნებს პრიმა-ბალერინა, რომელიც ოცდახუთი წელია ცეკვავს და მსოფლიოში არ დარჩენილა თეატრი, რომლის სცენაც არ დაეპყროს მის მშვენიერ ცეკვას.

მაგრამ, 19 აპრილის სპექტაკლი თბილისში კიდევ ერთი მომენტით იყო მნიშვნელოვანი. დიდი თეატრისა და ამერიკის ბალეტის თეატრის (ABT) პრიმა-ბალერინა, თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრის პრიმა-ბალერინა გახდა. ეს ხომ არ იყო ერთი გამოსვლა ერთ სპექტაკლში. 6 მაისს მან ანდრეი უვაროვთან ერთად იცეკვა „დონ კიხოტში“, შემდეგ კი ამერიკასა და იაპონიაში გამოდიოდა გასტროლზე, ახალი სეზონის დასაწყისიდანვე ის თეატრის რეპერტუარში არსებულ ბევრ სპექტაკლში გამოვიდა. ეს თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრისათვის მნიშვნელოვანი მოვლენაა.

ოდილია – ნინო ანანიაშვილი, როტბარტი – ირაკლი ბახტაძე

ლაურენსია

მერი გურგენიძე



ლაურენსია – ლალი კანდელაკი, ფრონდოსო – დავით ხოზაშვილი

ლოპე დე ვეგას „ფუენტე ოვეხუნა“ – „ცხვრის წყარო“ ქართულ თეატრალურ სივრცეში ყოველთვის ორმაგი დატვირთვისა და ფუნქციის მატარებელი დრამატურგიული ნაწარმოებია.

ესპანელი დრამატურგის პიესაში მოქმედება სოფელში – ცხვრის წყაროში, მიმდინარეობს. აბობოქრებული სოფელი (ანუ გაცხარებული ცხვრები), კომანდორის მოკვლით უსამართლობის წინაშე იმხედრებს და თავისუფალი ნების გამოხატულებად გვევლინება. პიესაში არსებული პრობლემის გადაჭრის გზას ზუსტად ესადაგება ერთი ძველი ქართული ანდაზა „ცხვარი ცხვარია, თუ გაცხარდა ცხარეა“. სწორედ ამ გაცხარებული ცხვრების შედეგია სოფელში მომხდარი ჯანყი, რომელსაც ლაურენსია, როგორც ყოჩი, ისე მიუძღვის წინ.

მე-20 საუკუნის ოციან წლებში კოტე მარჯანიშვილის მიერ დრამატულ თეატრში განხორციელებული ამ სპექტაკლით გაცხადდა ახალი თეატრალური ესთეტიკა, რასაც ცეცხლოვანი „დურუჯის“ შექმნა, ძველი „ბეწვდამძვრალი, მელოტთავიანი“ დრამატურგებისა და „ბებერი კამეჩების“ (მსახიობების) რუსთაველის პროსპექტზე „გასეირნება“ მოჰყვა.

მარჯანიშვილის „ცხვრის წყაროს“ ჯანყი აღმოჩნდა ქართული კულტურის სფეროში მიზანმიმართული თეატრალური ევოლუციის დასაწყისი. კ. მარჯანიშვილის ესთეტიკის ერთგვარი გამგრძელებელი ვ. ჭაბუკიანი, პირველად ლენინგრადის თეატრში, ხოლო შემდგომ თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრში დგამს თავის ცნობილ და ერთ-ერთ საუკეთესო ბალეტს – „ლაურენსიას“.

სპექტაკლისათვის სათაურის შეცვლა სულაც არ ყოფილა შემთხვევითი.

სოციალისტური სახელმწიფოს პოლიტიკური იდეოლოგია ქმნიდა ახალ მითს გმირების შესახებ. ახალი გმირის, ანუ ინდივიდის ინდივიდუალიზმიც, ანუ გამორჩეულობის ფაქტორიც, ჩადენილი საქციელის (თავგანწირვის) ხარისხით განისაზღვრებოდა და არა იდეათა შინაარსობრივი მრავალფეროვნებით. ხალხს მხოლოდ ყიჟინისა და შეძახილის ფუნქცია ჰქონდა დაკისრებული.

ბუნებრივია, ვ. ჭაბუკიანის ბალეტში მთავარი გმირის სახელის სპექტაკლის სახელწოდებად გამოტანა თავისთავად გასაგებს ხდიდა ბალეტის იდეურ – თემატურ ჩანაფიქრს, სადაც ხალხი – კორდებალეტი მხოლოდ ცხვრის წყაროს ანუ სოფლის სახის ილუსტრაცია იქნებოდა.

ვ. ჭაბუკიანის ბალეტსა და ნუკრი მაღალაშვილის მიერ აღდგენილ „ლაურენსიას“ შორის, ჩვენი აზრით, არსებითი განსხვავებაა. პიესაში არსებული აქცენტები გადაადგილებულია, უფრო სწორად ვ. ჭაბუკიანის მიერ შეცვლილი აქცენტი თავის ჩვეულ ადგილს უბრუნდება. გმირების გრძნობათა ბუნება სხვა პრიზმაშია გატარებული და ისინი სრული სახით წარმოჩნდებიან. რაც შეეხება ქორეოგრაფიულ მონახაზს, ის ტექნიკურად კიდევ უფრო გართულებული და მრავალფეროვანი გვეჩვენება და შემსრულებელთა უდიდეს ოსტატობას მოითხოვს. ყველა ზემოთ ჩამოთვლილი სახეცვლილების შედეგად თავისთავად გასაგები ხდება, რომ საქმე გვაქვს ახალი სპექტაკლის დაბადებასთან და არა, ძველი, გენიალური სპექტაკლის უბრალო აღდგენასთან.

ნუკრი მაღალაშვილის ქორეოგრაფია საკმაოდ დახვეწილი, ორიგინალური და ექსპრესიულია. უჩვეულო პოზები, შეიძლება ითქვას, ვირტუოზულიც, საკმაოდ თამამი და თვალშისაცემი სილამაზითაა მოწოდებული. ჭაბუკიანისეული პა დ'აქსონი და ძირიდადი ვარიაციები უცვლელადაა დატოვებული ბალეტში. ლალი კანდელაკის (ლაურენსია) ცეკვაც ჭაბუკიანისეულ ნახაზს მიყვება, რომელიც ნახტომებსა და პირუეტებზეა აგე-

ბული და თავისი სირთულით მამაკაცის ვარიაციის მსგავსია. იგი წრეზე გაკეთებული მრავალჯერადი პა დე შათი გვირგვინდება, რომელიც პრიმა ბალერინამ ვირტუოზულად შეასრულა. ნუკრი მაღალაშვილი არ ამარტივებს ჭაბუკიანის ამ მიმართულებას და პირველ მოქმედებაში დგამს ლაურენსიასა და ფრონდოსოს ურთულეს ადაჟიოს, სადაც პირუეტების კასკადი, ჰაერში გაკეთებული ჟეტეები, წამყვანი სოლისტების მიერ უნაკლოდ იქნა შესრულებული.

ლაურენსიას პარტიის შემსრულებელი ლალი კანდელაკი მკვეთრად გამოხატული ინდივიდუალური საშემსრულებლო მანერითა და ძლიერი პირუეტებით ტექნიკურად ურთულეს პარტიას ბრწყინვალედ ასრულებს. დინამიკურობა და თავბრუდამხვევი ტემპო-რიტმი სპექტაკლს რომანტიკულ ხიბლს ართმევს და გმირებს მკაცრი რეალობის წინაშე აყენებს. ამიტომაც, ლალი კანდელაკის ლაურენსია შორს დგას მხოლოდ მეოცნებე, შეყვარებული ქალის მხატვრული სახის გადაწყვეტისგან. მისი გმირი ფრონდოსოს (დათო ხოზაშვილი) წინაშეც დაუმორჩილებელი ქალია, რომელიც სიტყვებით არასდროს ტყუვდება და რომელსაც მამაკაცის დაპირებები ბევრს არაფერს ეუბნება.

ვ. ჭაბუკიანის შესრულებისაგან განსხვავებით, დათო ხოზაშვილის ფრონდოსო ნაკლებად გმირულია. შეიძლება ეს ყოველივე ვ. ჭაბუკიანის სახესთან იდენტურობის საშიშროებამ გამოიწვია, შეიძლება პირიქით, მასთან დაშორების სურვილმა წარმოშვა; ან, ბოლოს და ბოლოს, შეიძლება სულაც ერთ ჭეშმარიტებაშია საქმე: ვ. ჭაბუკიანი არ მეორდება და ამაში დათო ხოზაშვილს ყველაზე ნაკლებად მიუძღვის ბრალი. საკმაოდ რთული ამოცანაა მოცეკვავისათვის გენიოსის ნაფეხურებზე გავლა და მით უმეტეს მაშინ, როდესაც ეს ნაფეხურები პირდაპირი და ირიბი გზით მხოლოდ გენიოსისა და მისი შესაძლებლობების მაქსიმუმის გამოსავლენად არის გავლებული. სიმართლე უნდა ითქვას – ვ. ჭაბუკიანი თავისი ბალეტების ქორეოგრაფიას საკუთარი შესაძლებლობების გათვალისწინებით აგებდა. ამიტომაც არსებობდა მის შესრულებაში შეუძლებლის შესაძლებლობა, ასეთი თავბრუდამხვევი და აღმაფრთოვანებელი ცეკვა და სულიერი შემართება. დავით ხოზაშვილი შეეცადა ორიგინალური, საკუთარი ხაზი მოეძებნა ფრონდოსოს პარტიის გააზრებისათვის და შეძლო კიდეც ეს.

საბალეტო სპექტაკლებისთვის ხშირად დამახასიათებელი მოჩვენებითობა, განყენებული და ფორმაში არსებული მხატვრულობა, მთავარი გმირების გარდა, ყოველივეს სტატიკურსა და უმოძრაოს ხდის. „ლაურენსიაში“ კი პირიქითაა, კორდებალეტი სიცოცხლით ხარობს და სპექტაკლიც ერთ დიდ კორიდას ემსგავსება, სადაც ყურადღების წამიერი მოდუნება გამოუსწორებელი შეცდომის წინაშე აყენებს გმირებს, რომელთა გამოკვეთილი ქორეოგრაფიული ტექსტი თავიანთი შესრულებით ადვილად და საინტერესოდ აღსაქმელი გახადეს წამყვანი პარტიების შემსრულებლებმა. მათ შორის გვინდა დავასახელოთ ლაშა ხოზაშვილი (მენგო), ცისია ჩოლოყაშვილი (პასკუალა), ნინო გოგუა (ხასინტა), შორენა ხაინდრავა (სოლო ვარიაცია ბოშურში), მაია ილურიძე, დავით ანანელი (სოლო პარტიები კასტანიეტებით ცეკვაში).

ბოშური ცეკვა

სპექტაკლი თავისი თავბრუდამხვევი ტემპერამენტითა და ექსპრესიულობით მართლაც კორიდას თავაშვებულ, ცეცხლოვან სანახაობას წაგავს. ნუკრი მაღალაშვილის ქორეოგრაფიაში ორგანულად ერწყმის ერთმანეთს ხალხურობა და აკადემიური ფორმები. თითოეული მოცეკვავის სახე, ფუნქცია, ამოცანა ზუსტადაა მოფიქრებული და გააზრებული. რეჟისორული ხედვა და კონცეფცია, რომლის ნაკლებობასაც, უფრო სწორად, არარსებობას განიცდის ხშირად საბალეტო სპექტაკლები, „ლაურენსიას“ ახალ რედაქციაში სიზუსტით ხორციელდება. პრობლემის დასმა, მისი გადაწყვეტის გზები და ხერხები, უჩვეულო და ემოციური ფონი, საბალეტო სპექტაკლს დრამატული სპექტაკლის პრინციპზე აგებს და სტატიკურ სახეთა გალერეას სპექტაკლის ორგანულ ნაწილად აქცევს. ცხვრის წყარო – კორდებალეტი, „ლაურენსიაში“ ემოციური საშემსრულებლო მანერით, თვალშისაცემი ოსტატობითა და სინქრონული შესრულებით ბრწყინვალე ანსამბლს ქმნის. თავისუფლებისათვის ბრძოლისა და საკუთარი დაუმორჩილებელი ნების გამოხატულებად სპექტაკლში სწორედ ეს მასა – კორდებალეტი გვევლინება. ლალი კანდელაკის ლაურენსია „გაცხარებულ ცხვრებს“ ამბოხებისაკენ უბიძგებს. აბობოქრებული, აზვირთებული ტალღა, ჯოხებით ხელში, კომანდორის სასახლეს შეესევა. ემოციური, ქორეოგრაფიულად ლამაზი და დრამატულად ზუსტად გააზრებული ფინალი მაყურებელზე ძლიერ ზემოქმედებას ახდენს.

დამდგმელმა ქორეოგრაფმა მინიმუმამდე დაიყვანა პანტომიმის ელემენტები და თითქმის ყველა ძირითადი სცენა ქორეოგრაფიული ტექსტით შემოგვთავაზა, რომელიც ძირითადად არაბესკზეა აგებული (მაგ; ამბოხებული ქალების ცეკვა კომანდორის სასახლესთან).

ვ. ჭაბუკიანის „ლაურენსიას“ აღდგენით დიდი შემოქმედის კიდევ ერთხელ დაფასება და პატივისცემა გაცხადდა, მაგრამ, ბალეტის ახალი რედაქცია გასცდა მხოლოდ პატივისა და დიდების მიგების საზღვრებს და დამოუკიდებელი არსებობის უფლება მოიპოვა.

ბოშური – შორენა ხაინდრავა

პასკუალა – ცისია ჩოლოყაშვილი, მენგო – ლაშა ხოზაშვილი

პასკუალა – მარიამ ალექსიძე, ხასინტა – ნინო ოჩიაური

ალექსანდრე გრანტი:

„თქვენს დასთან მუშაობა სასიამოვნო იყო"

„ამაო სიფრთხილის" პრემიერიდან ორი წლის შემდეგ თბილისში იმყოფებოდა ალექსანდრე გრანტი, ინგლისის სამეფო ბალეტის ყოფილი მოცეკვავე, „ამაო სიფრთხილის" დადგმის ლიცენზიის მფლობელი. იგი ჩვენს თეატრს მეორედ ეწვია. 2005 წელს მას არ მიეცა საშუალება პრემიერას დასწრებოდა. ამჯერად კი დასთან რამდენიმე რეპეტიცია გამართა. გრანტი სოლისტებსა და კორდებალეტთან მუშაობით კმაყოფილი დარჩა. თბილისიდან გამგზავრების წინ მან ინტერვიუ მისცა ტელეკომპანია „მზის" საინფორმაციო პროგრამას.

ამ ბალეტში თქვენ იყავით ალანის პარტიის პირველი შემსრულებელი.

ეს არაჩვეულებრივი დრო იყო, 1960 წელი. პირველივე საღამოს დიდი წარმატება გვქონდა, იყო პრესისა და მაყურებლის არაჩვეულებრივი შეფასება.

და ოთხი ათეული წლის შემდეგ თქვენ ეს ბალეტი თბილისში დადგით. როგორი იყო სამუშაო პროცესი 2005 წელს და ვინ მოგიწვიათ საქართველოში?

რა თქმა უნდა, ნინო ანანიაშვილმა. ჩვენ ხომ დიდი მეგობრები ვართ. ნიუ იორკსა და ლონდონში ხშირად ვხვდებოდით ერთმანეთს. მაშინ მოვილაპარაკეთ, რომ თბილისში დავდგამდი „ამაო სიფრთხილეს". ნინო დიდი მოცეკვავეა, ხშირად მინახავს, რომ მისი სპექტაკლებიდან პუბლიკა ღიმილიანი გამოდიოდა. როგორც სამხატვრო ხელმძღვანელს, სავსებით სწორი მიმართულებები აქვს. აქცენტი კეთდება კლასიკურ ბალეტებზე. მომწონს, რომ რეპერტუარში ასევე არის ბალანჩინის ბალეტები. სასიამოვნო იყო მუშაობის პროცესი. თბილისში დიდი დროით არ ვიყავი, მაგრამ მაშინვე მივხვდი, კარგი მოცეკვავეები გყავთ. თუმცა, ამ სპექტაკლის ზოგიერთ სცენას დახვეწა სჭირდება. სწორედ ამიტომ ვარ დღეს აქ.

თქვენ მსოფლიოში ცნობილი მოცეკვავე ბრძანდებით, ვისთვისაც სპექტაკლებს დგამდნენ საუკეთესო ქორეოგრაფები. თქვენ დგამდით ვინმესთვის?

როცა ახალგაზრდა ვიყავი, ქორეოგრაფიაში ვცადე ბედი, მაგრამ ეს ჩემი საქმე არ იყო. მცირე პერიოდი დავუთმე. უფრო Workshop-ებს ვატარებდი.

საქართველოზე, ჩვენს საბალეტო სკოლაზე აქ ჩამოსვლამდე თუ გსმენიათ რაიმე?

რა თქმა უნდა. ლონდონში მითხრეს, რომ ჭაბუკიანი უდიდესი მოცეკვავე იყო. პირველი, რაც აქ ჩამოსვლისას გავაკეთე იყო ის, რომ მოვინახულე მისი სახლ-მუზეუმი და მაშინვე მივხვდი, რა ღირებული ადამიანი იყო ის საქართველოსათვის და საერთოდ, საბალეტო ხელოვნებისათვის.

საბალეტო ხელოვნებაში დღევანდელ მდგომარეობას როგორ აფასებთ. არიან თუ არა დღეს ინდივიდუალური სტილით გამორჩეული ქორეოგრაფები?

ასეთი პროფესიონალების ნაკლებობაა. კლასიკურ ბალეტში ეს პრობლემა არაა. თუმცა გამოვყოფდი ამერიკაში მოღვაწე ქრისტოფერ უილიამსს, რომელსაც საკუთარი სტუდია აქვს, ძალიან კარგი პროფესიონალია. ახლა სხვა ტენდენციებია, შეიცვალა სწავლების მეთოდიც. ადრე იყო ირლანდიური, იტალიური სტილი. ახლა საბალეტო სკოლებში უფრო რუსული სკოლის გავლენა იგრძნობა. მაგრამ ეს ახალისებს ცხოვრებასაც და ხელოვნებასაც. მეც ბედნიერი ვარ იმით, რომ მოვიარე ბევრი ქვეყანა და ვნახე სხვადასხვა ქვეყნის კულტურა.

ჩვენთან კიდევ აპირებთ რაიმეს დადგმას?

უახლოესი გეგმები ფლორიდაში მაქვს. ეს ნინოს უნდა შეეკითხოთ. თანაც არც ისე ახალგაზრდა ვარ. ქართულ ბალეტს ყოველივე საუკეთესოს ვუსურვებ.

ინტერვიუს უძღვებოდა ნინი ახვლედიანი

იბეჭდება ტელეკომპანია „მზის" თავაზიანი ნებართვით.

ბენ სტივენსონი:

„ამჯერად დასის შესაძლებლობებს ვსწავლობ"

ბენ სტივენსონი - 1976-2003 წლებში ჰიუსტონის ბალეტის სამხატვრო ხელმძღვანელი, სედლერს უელსისა და ინგლისის ნაციონალური ბალეტის ყოფილი წამყვანი სოლისტი, თბილისში ნინო ანანიაშვილის მოწვევით იმყოფებოდა. იგი მსოფლიოში ცნობილი ქორეოგრაფია. მისი პირველი საბალეტო სპექტაკლი - „მძინარე მზეთუნახავი", 1967 წელს, ინგლისის ნაციონალური ბალეტის თხოვნით დაიდგა. სპექტაკლში მთავარ პარტიას მარგო ფონტეინი ცეკვავდა. შემდეგ სტივენსონი აშშ-ში გადავიდა და ვაშინგტონის ნაციონალური ბალეტისთვის დადგა „კონკია". ამ სპექტაკლით გაიხსნა კენედის ცენტრი. 1976 წელს იგი ჰიუსტონის ბალეტის სამხატვრო ხელმძღვანელად დაინიშნა და 27 წელი ხელმძღვანელობდა ამ დასს. ბენ სტივენსონი დგამს ბალეტებს ინგლისის ნაციონალური ბალეტის, ამერიკის ბალეტის თეატრის, პარიზის გრანდ ოპერის, ლა სკალას, კანადის, მიუნხენის, ლონდონის, სანტიაგოსა და სხვა საბალეტო თეატრებისათვის.

2003 წლიდან ტეხასის საბალეტო თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელია.

ბენ სტივენსონს ეკუთვნის როგორც კლასიკური საბალეტო სპექტაკლების საკუთარი ვერსიები („გედების ტბა", „დონ კიხოტი", „მაკნატუნა", „მძინარე მზეთუნახავი", „კოპელია", „რომეო და ჯულიეტა"), ასევე საკუთარი ორიგინალური ბალეტები „დრაკულა", „თოვლის დედოფალი", „კლეოპატრა".

„თბილისში ჩემი ჩამოსვლა ამჯერად დასის შესაძლებლობების შესწავლას ისახავს მიზნად, – ***განაცხადა ჩვენთან საუბარში ბენ სტივენსონმა***. რამდენიმე კლასი ჩავატარე როგორც კორდებალეტთან, ასევე სოლისტებთან და კმაყოფილი ვარ. მათთვის ჩემი გაკვეთილები განსხვავებულია, შეიძლება უცნაურიც კი. მაგრამ, მთლიანობაში კარგად გამოსდით მუშაობა. თებერვალში ამერიკაში დაგეგმილია თქვენი დასის გასტროლები. იმედი მაქვს, სპექტაკლებს დავესწრები და უფრო შთამბეჭდავი წარმოდგენა შემექმნება.

თქვენ გეკუთვნით კლასიკური ბალეტების თქვენეული ვერსიები, ასევე თანამედროვე საბალეტო სპექტაკლები. თბილისში რის დადგმას აპირებთ, გაქვთ უკვე მონახაზი?

ეს იქნება დიდი ბალეტი, ალბათ, კლასიკური მემკვიდრეობიდან.

რომელ დადგმას ანიჭებთ უპირატესობას – კლასიკურს თუ თანამედროვეს?

თავდაპირველად კლასიკური ბალეტების დადგმა დავიწყე, შემდეგ ახალ ქორეოგრაფიას ვაკეთებდი. მათ შორის არსებული სივრცე თანდათან მცირდება. ამიტომ ჩემს ბალეტებს ნეოკლასიკურ სტილს მივაკუთვნებდი. ამ სფეროში დიდი სიფრთხილეა საჭირო, რომ არ მოხდეს საბალეტო ხელოვნების ერთ ადგილზე გაყინვა. „გედების ტბა", „დონ კიხოტი", „მაკნატუნა", „მძინარე მზეთუნახავი" და სხვა კლასიკური ბალეტები ყოველთვის მიიზიდავს მაყურებელს. საჭიროა, მათი სახე შევინარჩუნოთ, ამისთვის ახალი იდეებია საჭირო. გარდა ამისა, ყოველი ახალი ბალეტი შეიძლება გადაიქცეს კლასიკურ ნაწარმოებად, რასაც ნიჭიერი ქორეოგრაფები სჭირდება. ისინი, საბედნიეროდ, არიან. აი, თქვენს რეპერტუარში არის ბალანჩინის ბალეტები. მან ბევრი დადგა და ამავე დროს, პირველი იყო, ვინც კლასიკური ბალეტების ახალი რედაქციის შექმნა დაიწყო („გედების ტბა", „მაკნატუნა"). მას არაჩვეულებრივად ესმოდა მუსიკა და ისე ქმნიდა. ამიტომაც უხარიათ მოცეკვავეებს მისი ბალეტების ცეკვა, მაყურებელიც აღფრთოვანებაში მოჰყავს.

თბილისში ნინო ანანიაშვილის მოწვევით ჩამოხვედით. თქვენ მისთვის სპეციალურად დგამდით. ამ თანამშრომლობის გაგრძელებას აქაც აპირებთ?

ნინო პირველად ფინეთში ვნახე, კლასზე შევამჩნიე. მაშინ „კონკიას" ვდაგამდი და ბალერინა მჭირდებოდა. დასის ერთ-ერთმა ხელმძღვანელმა მითხრა, რომ ის სტუმარი იყო, რის გამოც ცოტათი უხერხულობა ვიგრძენი. მაგრამ გადაწყვეტილება მაინც მივიღე. შემდეგ ჰიუსტონის ბალეტში მივიწვიე და სპეციალურად მისთვის დავდგი „თოვლის დედოფალი". ძალიან საინტერესო სპექტაკლი გამოვიდა. მას პარტნიორობას უწევდა ასევე ნიჭიერი მოცეკვავე კარლოს აკოსტა. არ ვიცი, თავად რას გადაწყვეტს. მინდა ვთქვა, რომ საუკეთესო ფორმაშია".

ბენ სტივენსონმა თბილისის საბალეტო დასთან ერთი კვირა იმუშავა და კმაყოფილი დარჩა. სავარაუდოდ, იგი თბილისს მომავალ თეატრალურ სეზონზე ეწვევა და დასისათვის ახალ ბალეტს დადგამს.

ლეგენდარული ირინა კოლპაკოვა, მარიას თეატრის პრიმა-ბალერინა, ამჟამად ამერიკის ბალეტის თეატრის პედაგოგი, თბილისში მეუღლესთან, ცნობილ მოცეკვავესთან ვლადილენ სემიონოვთან ერთად ჩამოვიდა. ორი კვირის განმავლობაში ისინი აძლევდნენ კლასებს და ატარებდნენ რეპეტიციებს ჩვენი მსახიობებისათვის.

პეტერბურგის ბალეტის ისტორია წარმოუდგენელია ირინა კოლპაკოვას გარეშე, თავად პრიმა ბალერინას ბიოგრაფია კი – პეტერბურგის გარეშე. მისმა დიდმა შემოქმედებამ დაამშვენა მარიას თეატრის ისტორია. რუსული კლასიკური საბალეტო სკოლის ერთ-ერთი ფუძემდებლის აგრიპინა ვაგანოვას ბოლო მოსწავლემ მთელი ეპოქა შექმნა საბალეტო ხელოვნებაში. საქართველოსთან ირინა კოლპაკოვას და ვლად სემიონოვს დიდი და საინტერესო ურთიერთობები აკავშირებთ.



ირინა კოლპაკოვა:

„კმაყოფილი ვარ ქართული ბალეტის დონით"

ნინო მდივანაძე

აგრიპინა ვაგანოვას ბოლო მოსწავლე დღესაც აგრძელებთ რუსული საბალეტო სკოლის ტრადიციებს. ეს თქვენს რეპეტიციებსაც ეტყობა...

სულ სხვაა რუსული სკოლა, ე.წ. ვაგანოვას სკოლა. იქ აღზრდილებს სხვა ხელწერა გვაქვს. მე დავამთავრე ლენინგრადის ქორეოგრაფიული სასწავლებელი, რომელიც ახლა აკადემიაა და ვაგანოვას სახელს ატარებს. ის უჩვეულოდ კარგი ადამიანი და ამავდროულად, არაჩვეულებრივი პედაგოგი იყო. სულ მუდამ სიახლის მაძიებელი გახლდათ. ამიტომაც იყო ლენინგრადის სკოლა საოცრად განსხვავებული. მის მიერ შექმნილი საბალეტო სისტემა დღესაც ძალიან კარგად მუშაობს. მან შესანიშნავად შეუსაბამა ერთმანეთს იტალიური, ფრანგული, დანიური საბალეტო სკოლების გამოცდილება და შექმნა უნიკალური მეთოდიკა, რომლითაც დღესაც ვხელმძღვანელობთ.

ამჟამად ამერიკაში ვმოღვაწეობ. კარგად ვამჩნევ, რომ სხვა ქვეყნებიდან ჩამოსულ ადამიანებს არა აქვთ არავითარი მეთოდიკა. ყოველი მათგანი ასწავლის ისე, როგორც სურს. იქ მუშაობს ძალიან ბევრი ნიჭიერი ბალერინა, რომლებიც ბალანჩინთან ცეკვავდა. დღეს ისინი თავად ასწავლიან სხვებს, მაგრამ ძალიან ეტყობათ, რომ არა აქვთ გავლილი სისტემური სკოლა.

ნინო ანანიაშვილი დგამს უამრავ ახალ სპექტაკლს, ჩამოჰყავს ბევრი ქორეოგრაფი, მაგრამ ძირითადად ისინი სწორედ რუსული სკოლის კურსს მიჰყვებიან. კმაყოფილი ვარ, რომ ქართული ბალეტი ასეთ დონეზე დგას.



ირინა კოლპაკოვა, მიხეილ ბარიშნიკოვი
და გოგი ალექსიძე რეპეტიციაზე

ეს თქვენი პირველი ჩამოსვლა არ არის თბილისში და ბუნებრივია, კარგად იცნობდით ქართულ ბალეტს. ცნობილია თქვენი შემოქმედებითი პარტნიორობა ვახტანგ ჭაბუკიანთან. როგორ გაიხსენებთ „ცეკვის ჯადოქარს“?

მე ჯერ კიდევ სასწავლებელში ვსწავლობდი, როცა ვახტანგ ჭაბუკიანი კიროვის თეატრში ჩამოვიდა. მის ირგვლივ არაჩვეულებრივი ატმოსფერო სუფევდა. გადაჭარბების გარეშე ვიტყოდი, რომ მას აღმერთდებდნენ. ის იყო პირველი მოცეკვავე არა იმიტომ, რომ ყველა წამყვან პარტიას ასრულებდა, არამედ იმიტომ, რომ მის წინაშე ყველა ქედს იხრიდა და პატივს სცემდა. თავად ჭაბუკიანიც დიდსულოვნად ეპყრობოდა გარშემომყოფთ და ამით კიდევ უფრო მეტ სიყვარულს იმკიდა.

ლენინგრადში ჩამოსულს „ოტელოში“ პარტნიორობას ალა ოსიპენკო, ნინელ პეტროვა და ვერა წიგნაძე უწევდნენ. მას სურდა ახალგაზრდა ბალერინასთან ერთად ეცეკვა. არჩევანი ჩემზე გაკეთდა. მე, რასაკვირველია, ძალიან ბედნიერი ვიყავი. რეპეტიციები იმდენად საინტერესო იყო, რომ არასოდეს დამავიწყდება. დარბაზში თავს იყრიდნენ კრიტიკოსები, ჟურნალისტები, დასის წევრები. სუნთქვაშეკრულნი უყურებდნენ და უსმენდნენ იმას, რაც ხდებოდა.

მერე იყო თბილისი. ჩვენი შეხვედრები სწორედ თქვენს ქალაქში განახლდა. ჩემს მეუღლესთან ერთად თბილისში 60-იანი წლებში ჩამოვედი. „ჟიზელში“ უნდა მეცეკვა. ბატონმა ვახტანგმა შესანიშნავი მასპინძლობა გაგვიწია. დაგვპატიჟა ოჯახში, აგარაკზე. საოცრად პოეტურად გვეპყრობოდა. მინდა აღვნიშნო, რომ ასევე გულთბილად გვხვდებოდა ყველა ის ადამიანი, რომლებთანაც იმხანად საქმიანი ურთიერთობები გვქონდა. ასე რომ, თბილისიდან შთაბეჭდილებებით აღსავსე და ძალიან კმაყოფილები დავბრუნდით.

არ შემიძლია არ გავიხსენო უდიდესი მხატვარი სოლიკო ვირსალაძე. ის იყო საოცრად კეთილშობილი ადამიანი. ჩვენ მას ხშირად ვსტუმრობდით ოჯახშიც. მას ჰქონდა საინტერესო სტილი, ატმოსფერო. იყო ენციკლოპედიურად განათლებული ადამიანი, ბუნებით მომთხოვნი. შეეძლო ათჯერ შეეცვლევინებინა კოსტიუმის ფერი, თუ თვლიდა, რომ ეს არ იყო ზუსტად ის ფერი, რომელიც მას უნდოდა. წინააღმდეგობას არავინ უწევდა, რადგან ამ მოთხოვნასაც თავშეკავებულად და კანონზომიერად აყენებდა.

შემოქმედებითი ურთიერთობები გაკავშირებდათ გიორგი ალექსიძესთან. ის სპეციალურად თქვენთვის და მიხეილ ბარიშნიკოვისთვის დგამდა ცეკვებს თქვენი კარიერის დასაწყისში...

გოგისთან თანამშრომლობა მართლაც საინტერესო პერიოდი იყო. როცა ის თავის მინიატურებს დგამდა, სამუშაო პროცესი მეტად უცნაურ რეჟიმში მიმდინარეობდა. რეპეტიციები ძირითადად საღამოობით ან გვიან ღამით გვქონდა. მოხდა ისე, რომ სწორედ იმ პერიოდში, მე და ჩემს მეუღლეს ვლადს, ჟენევაში მოგვიხდა გამგზავრება. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიერ უდიდესი ღონისძიება იმართებოდა და იქ ვიცეკვეთ. ღონისძიების შემდეგ შემოგვთავაზეს დარჩენა და ღირსშესანიშნაობათა დათვალიერება, მაგრამ ლენინგრადში რეპეტიციები გვქონდა და სასწრაფოდ უკან დავბრუნდით. ფენომენალური დადგმა იყო. ჩვენ მეგობრები ვართ და ამ მეგობრობას სწორედ იმ წლებს ვუმადლი.

ამერიკის ბალეტის თეატრში მოღვაწეობამ თქვენ საშუალება მოგცათ მსოფლიო ბალეტის ბევრ ვარსკვლავთან გემუშავათ. ABT-ის მოწვეული სოლისტი ნინო ანანიაშვილი ამერიკაში ყოველი ჩამოსვლის დროს რეპეტიციებს თქვენთან გადის.

ჩვენს შეხვედრებს საფუძველი ამერიკაში ჩაეყარა და მას შემდეგ სისტემატურად ვხვდებით. ის ყოველწლიურად ჩამოდის ამერიკაში. საოცრად ნათელი ადამიანია, უნიჭიერესი ბალერინა და უკეთილშობილესი პიროვნებაა, ძალიან დიდი პოპულარობით სარგებლობს ამერიკაში. მის ყოველ სპექტაკლზე ანშლაგია. ძალიან უყვართ დასში.

ძალიან მნიშვნელოვანია ქართული ბალეტისათვის ის, რომ დასს ნინო ანანიაშვილი ხელმძღვანელობს. ჩვენ ვიხილეთ „ჟიზელი“, მოხიბლული ვარ და ვთვლი, რომ სწორედ ნინოს დამსახურებაა, რომ სპექტაკლი ასეთი წარმატებულია, არაჩვეულებრივია ვასილ ახმეტელი. შესანიშნავად ცეკვავს ჟიზელს ლალი კანდელაკი. საერთოდ დასი კარგ ფორმაშია. როცა დასის წევრები მონდომებული არიან, მაშინ შრომის შედეგიც შესაბამისად კარგია.

კევინ მაკკენზი – ამერიკის ბალეტის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი 1992 წლიდან. საბალეტო მომზადება ვაშინგტონის საბალეტო სკოლაში მიიღო. 1972 წელს ვარნის მეექვსე საბალეტო საერთაშორისო საბალეტო კონკურსზე ვერცხლის მედალი მიიღო. ის იყო ვაშინგტონის ნაციონალური ბალეტის წამყვანი სოლისტი ამერიკის ბალეტის თეატრში გადასვლამდე (1979 წ.). აქ იგი კლასიკური რეპერტუარის თითქმის ყველა წამყვან პარტიას ცეკვავდა. მას ეკუთვნის რამდენიმე კლასიკური ბალეტის ახალი რედაქცია.

კევინ მაკკენზი:

„ქუდს ვიხდი თქვენი მოცეკვავეების წინაშე"

ამერიკის ბალეტის თეატრის (ABT) სამხატვრო ხელმძღვანელი კევინ მაკკენზი თბილისს სტუმროობდა. იგი ქალბატონ ნინო ანანიაშვილის მოწვევით ჩამობრძანდა და დაესწრო „ლაურენსიას". სტუმარი გაეცნო თეატრის ცხოვრებას და თავისი მოსაზრებები ჟურნალ „არაბესკს" გაუზიარა:

„ლაურენსიამ" ჩემზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. დასი საუკეთესო ფორმაშია, კარგად ჩანს მსახიობთა სურვილი, იცეკვონ გრძნობით, ემოციით, გამოხატონ საუკეთესოდ. აღფრთოვანებული ვარ წამყვანი სოლისტების შესრულების ფორმით, ტექნიკური შესაძლებლობებით. როგორც ამერიკაში იტყვიან, ქუდს ვიხდი მათ წინაშე.

ამ ბალეტის შესახებ, რა თქმა უნდა, ვიცოდი. მაგრამ, ნანახი არ მქონდა. როცა ნინომ მითხრა, რომ აპირებდა მის დადგმას, მართალი გითხრათ, გამიკვირდა. ჩემი ჩამოსვლის ერთ-ერთ მიზანს სწორედ „ლაურენსიას" ნახვა წარმოადგენდა. იქიდან გამომდინარე რაც ვნახე, ვფიქრობ, რომ ბალეტი ჭაბუკიანის დროს სწორედ ასე იქნებოდა დადგმული. მომეწონა დეკორაციები. ყველაფერს თითქოს იმ დროში გადავყავართ. განსაკუთრებით შთამბეჭდავია ბოლო სცენის – კომანდორის სასახლის აღების დეკორაცია.

ვფიქრობ ძველი, ჭაბუკიანის დროინდელი ქორეოგრაფია და ახალი რედაქცია ორგანულადაა შერწყმული ერთმანეთთან. არ იგრძნობა დიდი სხვაობა. როგორც ჩანს, ცეკვის სტილისტიკა და ფორმები ძირითადად შენარჩუნებულია.

სტუდენტობისას, მე მინახავს პა დ'აქსონის ჩანაწერი „ლაურენსიადან" ვახტანგ ჭაბუკიანისა და მაია პლისეცკაიას შესრულებით. ეს იყო დიდი თეატრის სპექტაკლიდან. ასეთ შესრულებაზე ვიზრდებოდით ჩვენ.

ახლა ამ ბალეტზე ბევრი ინფორმაცია მაქვს. საჭიროა დრო, რომ ყველაფერი გავაანალიზო. თუ ვიფიქრებდი, რომ იგი შევთავაზო ამერიკულ პუბლიკას, საჭიროდ ჩავთვლიდი ზოგიერთ ცვლილებას. ეს შეეხება, როგორც მუსიკალურ ნაწილს (საჭირო იქნება რამდენიმე განმეორების შეკვეცა), ასევე ქორეოგრაფიულ ტექსტს. მეორე მოქმედების დასასრულს შემექმნა შთაბეჭდილება, რომ ყველაფერი ძალიან ჩქარი იყო. ეს კარგი ეფექტური საშუალებაა, მაგრამ, ჩემი აზრით, განწყობის შექმნა მეტადაა საჭირო.

„ლაურენსია" იმ ეპოქის პროდუქტია, როცა ე.წ. დრამბალეტი ფართოდ იყო დამკვიდრებული საბალეტო ხელოვნებაში. მე თუ მკითხავთ, ასეთი სპექტაკლების აღდგენის დრო დღეს დიახ, არის. ამისთვის, ორი მთავარი მომენტია გასათვალისწინიბელი: პირველი – იგი ახლოს უნდა იყოს ორიგინალთან; მეორე – თანამედროვე სტილი შესაბამისობაში უნდა იყვეს მასთან. მინახავს წარმოდგენები სხვადასხვა სცენაზე, სადაც ძირითადი აქცენტი გაკეთებულია მაქსიმალური ეფექტის მიღებაზე. ეს არ არის სწორი, ცვლილებები საჭიროა, მაგრამ ორგანული.

ბალეტში დღეს გარდამავალი პერიოდია იმ გაგებით, რომ აუცილებელია კლასიკური მემკვიდრეობის შენარჩუნება. ეს საფუძველი უნდა გამოვიყენოთ, რომ შევქმნათ ახალი, პროგრესული, რაც წინსვლას მოგვიტანს. ყოველი საბალეტო დასი ცდილობს, ახალი გზები მოძებნოს. ჩვენ უფრო მეტი გვესაჭიროება – სიახლე კლასიკური მემკვიდრეობის შენარჩუნებით.

თქვენს დასს საამისოდ კარგი რეპერტუარი აქვს. ნინო მიყვებოდა სამომავლო გეგმებზე. მე ვფიქრობ, სწორი გზით მიდიხართ. არ გამოვრიცხავ ჩვენი დასების თანამშრომლობას. ეს კარგადაა მოსაფიქრებელი. ნინო ორთავე დასს კარგად იცნობს, იცის მათი შესაძლებლობანი. დარწმუნებული ვარ, სწორ გადაწყვეტილებებს მიიღებს. ის ხომ უნივერსალური ადამიანია თავისი ბუნებით – პირდაპირი და გახსნილი".

ამერიკის შეერთებულ შტატებში ჩვენი საბალეტო დასის გასტროლის წინ ცნობილმა ჟურნალმა "DANCE MAGAZINE" (ივნისი, 2007) გამოაქვეყნა ელიზაბეტ კენდელის წერილი, რომელსაც ქვემოთ გთავაზობთ:

საქართველო – მისი საზრყნავი

ELIZABETH KENDALL

თბილისში შუაღამეს უნდა ჩაფრინდე (ღამე საჰაერო სივრცე უფრო იაფია). იმის მიუხედავად, რომ გვიან ჩამოდიან, ხალხი მგზავრებს აეროპორტის მინის კედლის მეორე მხრიდან ეგებება, ჟესტებით გამოხატავენ ემოციებს და უხმოდ ყვირიან.

როცა მეორე დილით ქალაქში გასვლას გადაწყვეტ, შენი ტაქსი, ისე როგორც სხვა მანქანები, ქუჩაში ჩქარა მოძრაობს დაუხაზავ გზებზე, ორმოებს რომ აარიდონ თავი. ამ ძველი ქალაქის შუაგულში რომ მიხვალ და ფეხით გააგრძელებ გზას, იპოვი უძველეს ეზოებს ხის აივნიანი სახლებით და მასზე გადმოკიდული სარეცხით.

ცხოვრება გაუგებარი, გიჟური, ქაოსური – „მედიტერიანულია", როგორც ნახევრად ქართველ ბალანჩინს უყვარდა თქმა, და საოცრად მომაჯადოებელია ამ ახალი რესპუბლიკის (რომელმაც დამოუკიდებლობა სსრკ დაშლისას, 1991 წელს მიიღო) უძველეს დედაქალაქში. საქართველო რუსეთის, თურქეთის, სომხეთისა და აზერბაიჯანის რესპუბლიკებს შორის მდებარეობს.

ყოველივე ამის შემდეგ საოცარია, რომ შედიხარ თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრში, მიდიხარ მის გრძელ, ბნელ დერეფანში და შორიდან გესმის საბალეტო კლასის ნაცნობი, მშვიდი მელოდია.

მაგრამ ეს განსაცვიფრებელზე მეტია, ვიდრე საოცრება: ეს ტრიუმფია. საქართველოს სახელმწიფო ბალეტი მკვდრეთით აღდგა, ამ სიტყვის თითქმის პირდაპირი გაგებით. უზარმაზარ, რუხ დარბაზში შავ ტანსაცმელში ჩაცმული ხუჭუჭთმიანი მამაკაცი მასწავლებელი დააბიჯებს. სამ მხარეს მოწყობილ ძელთა გასწვრივ მსოფლიო დონის მოცეკვავენი არიან. რამდენიმე მათგანი თვალშისაცემია: მაღალი, გრძელთმიანი მამაკაცი ნაცრისფერებში – ირაკლი ბახტაძე; ორი, უფრო დაბალი, შავტანსაცმლიანი მამაკაცი ხუჭუჭა შავი თმებით – ძმები ხოზაშვილები; ხშირი ღია ფერის თმიანი გოგონა ლურჯებში – ნინო გოგუა; კოხტა გოგონა თეთრი ქვედაბოლოთი – ლალი კანდელაკი; ქართული სახეები (მკრთალი, მუქი ფერის თმითა და მუქი, მოციმციმე თვალებით, ბიზანტიურ ხატებზე გამოსახულ სახეებს რომ მიუგავთ) მათ თითქოს მეტ თეატრალობას, დამატებით სიმძაფრეს ანიჭებს.

იმის მიუხედავად, რომ საბალეტო კლასში ბევრი ტალანტი იპყრობს ყურადღებას, თვალი ვერ სცილდება მშვიდ, ყველაზე წყნარ ფიგურას – მაღალ ქალს, მარცხენა უკანა კუთხეში. მას სვიტერი და ელასტიკი აცვია. შვილის გაჩენის შემდეგ ის უბრუნდება ფორმას. მაგრამ შეუძლებელია შეგეშალოთ მისი გრძელი ფეხები, პუანტებზე გამორჩეული დგომა, პატარა, კოხტა თავი (ხატისმსგავსი თვალებით), ქალური ჰაეროვნება. ეს ნინო ანანიაშვილია, მსოფლიოს ერთ-ერთი სუპერვარსკვლავი, არცთუ ისე ბევრიდან. ახლა ის ამ ძველი-ახალი კომპანიის ხელმძღვანელია. 2004 წლის ივლისში დაბრუნდა სამშობლოში – მოსკოვიდან, ნიუ იორკიდან და ჰიუსტონიდან, რათა დასს სიძლიერე და მსოფლიო აღიარება დაუბრუნოს. და ასეც ხდება-საგასტროლო ტურნე სტარტს ამ თვეში ამერიკიდან იღებს.

„დასის ხელმძღვანელობა არ იყო ჩემს გეგმაში“, – მეუბნება ანანიაშვილი საკუთარ მყუდრო, ნათელ კაბინეტში, სადაც ხის მაგიდა და ზოლიანი ტახტი იდგა. მან გამოიცვალა სარეპეტიციო ტანსაცმელი და ჩაით მიმასპინძლდება. „მე აქტიური ბალერინა ვიყავი. ვფიქრობდი, რომ მომავალში შეიძლება სხვებისთვის მესწავლებინა. მაგრამ პრეზიდენტმა მითხრა – „ჩვენ შენ ახლა გვჭირდები; ჩვენ უნდა გვყავდეს ძალიან კარგი საბალეტო დასი“.

ეს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილია, ახალგაზრდა პოლიტიკოსი, რომელმაც განათლება აშშ-ში მიიღო. იგი 2003 წლის ნოემბერში, თბილისში, ხალხს პარლამენტისაკენ მიუძღოდა და შეიარაღებულ ძალებს, რომლებიც შევარდნაძეს იცავდა, იარაღის ლულაში ვარდებს უწყობდა. თითქმის 15 წლიანი სამოქალაქო ომი რუსული ორიენტაციის მქონე შევარდნაძის მგზნებარე მომხრეებსა და ჩამოგდებული ეროვნული პრეზიდენტის გამსახურდიას წარმომადგენლებს შორის დასრულდა. ქაოსის შედეგი იყო საქართველოს ტერიტორიების (ოსეთი, აფხაზეთი) მიერ დამოუკიდებლობის გამოცხადება. როგორც კავკასიის ექსპერტი ტომას გოლცი ამბობს, ყველაფერ ამას დაემატა „კორუფციისა და სიხარბის დამკვიდრება, რომელმაც დედაქალაქში ძირეული სამსახურები მოშალა“. გაქრა ცხელი წყალი, შემდეგ გათბობა და სინათლე. ცხოვრება თბილისში თითქმის პრიმიტიულ დონემდე დაეშვა.

სააკაშვილი ქვეყნის სათავეში 2004 წლის იანვარში მოვიდა. ყველაფერი დანგრეული იყო. ექვსი თვის თავზე მან ანანიაშვილს სამშობლოში დაბრუნება სთხოვა. ბალეტი განისაზღვრა როგორც უმაღლესი პრიორიტეტი? ეს იმის მსგავსი იქნებოდა, პრეზიდენტ ბუშს New York City Ballet ან ამერიკის ბალეტის თეატრისადმი ეროვნული გრძნობების ამაღლებაში დახმარება ეთხოვა. სამუშაო პირობები საშინელი იყო, ფული – მცირე. 90-იანი წლების ბოლოს დასის სოლისტთა უმრავლესობამ დატოვა თეატრი. მასწავლებლებიც, უკეთესი სამუშაოს პოვნის მიზნით, ტოვებდნენ პროფესიას – მიდი-

ოდნენ ამერიკაში, პორტუგალიაში, თურქეთში, გერმანიაში. „მე ახლაც მირეკავენ კოლეგები ნორვეგიიდან“, – ამბობს ცისკარა ბალანჩივაძე, ყოფილი მოცეკვავე (და ბალანჩინის ძმისშვილი), რომელმაც 1990 წელს დატოვა დასი, რათა საბალეტო სკოლაში ესწავლებინა.

მაგრამ პრეზიდენტს, რომელიც პოლიტიკური სიმბოლოების ენაზე საუბრობს, უნდოდა მათი უკან დაბრუნება. „ბალეტი საოცრად მნიშვნელოვანია საქართველოსათვის“, – გვიხსნის პროდიუსერი მანანა კვაჭაძე, რომლის ფილმი „ქართველები მარიას თეატრში“ ახლახან იქნა ნაჩვენები ნიუ იორკში, მუსიკალური და ქორეოგრაფიული ფილმების ფესტივალზე, „ოპერისა და ბალეტის ტრადიცია თბილისში მე-19 საუკუნის შუა პერიოდიდან იწყება. ჩვენ ყოველთვის ვცდილობდით, ვყოფილიყავით მოდური ქალაქი. ჩვენი ფოლკლორი – ცეკვა და სიმღერა, ძალიან მაღალ დონეზეა. ასეთი გახდა ბალეტიც“.

შემდეგ იყო ვახტანგ ჭაბუკიანის ბრწყინვალე ფიგურა, ქართველი სახალხო გმირისა და 20-30-იანი წლების საბჭოთა ბალეტის ვარსკვლავისა. ის მშობლიურ თბილისში 1935 წელს დაბრუნდა, რათა დაეარსებინა ახლანდელი დასი, სცენოგრაფიის ოსტატ სოლიკო ვირსალაძესა და კომპოზიტორ ანდრია ბალანჩივაძესთან (ბალანჩინის ძმა) ერთად. ჭაბუკიანი დასს თითქმის 40 წელი მართავდა და შეძლო მოწინავე გაეხადა საბჭოთა დასებს შორის, თუ არ ჩავთვლით კიროვისა და დიდ თეატრებს. ჭაბუკიანის ენერგიამ და შემდგომი ხელმძღვანელის, გიორგი ალექსიძის ძალისხმევამ ქართველები ბალეტომანებად აქცია. თბილისში პირველად 1988 წელს ჩამოვედი ჰარლემის ცეკვის თეატრთან ერთად. მახსოვს ბედნიერი, კარგად ჩაცმული მაყურებელი, რომლებიც ამერიკელი სტუმრების სანახავად მოვიდა თეატრში.

2004 წელს მშობლიურ ქვეყანაში დაბრუნდა მისი შვილი. „ნინო ანანიაშვილის დაბრუნება დღეს ისეთივე მნიშვნელოვანია, როგორც ვახტანგ ჭაბუკიანის დაბრუნება 1935 წელს“, – წერდა დიდი ქართველი მოცეკვავე ზურაბ კიკალეიშვილი (ჭაბუკიანის „ოტელოში“ იგი იაგო იყო) 2004 წელს თბილისის გაზეთში. ის აქებდა ნინო ანანიაშვილს, საკუთარ კარიერაზე წინ სამშობლო რომ დააყენა და ურჩევდა მას, შეენარჩუნებინა ბალანსი რეპერტუარში – ჰქონოდა საზღვარგარეთული და ქართული ბალეტები. ის ლოცავდა ნინოს.

„18 ახალი ბალეტი ორ სეზონზე“ – ამბობს ანანიაშვილი და ითვლის მათ. ახალი ბალეტები ისეთი წამყვანი ქორეოგრაფებისაგან, როგორიცაა სთენთონ უელში, თრეი მაკინტაერი, ალექსეი რატმანსკი; კლასიკური „დონ კიხოტი“ და „გედების ტბა“ (ორთავე ალექსეი ფადეეჩევის მიერ დადგმული), ლავროვსკის „რომეო და ჯულიეტა“ და ეშტონის „ამაო სიფრთხილე“ და ცხრა ახალი ბალეტი ქართველების ღვიძლი შვილის – ბალანჩინისა (დაბადებით ბალანჩივაძე) და კიდევ მეათეა გეგმაში. როცა თეატრში მის ბალეტებს წარმოადგენენ, სცენაზე სპეციალური ფარდა ჩნდება ბალანჩინის გამოსახულებით. დაბრუნდა აბონემენტების დრო – სპეციალური ბარათებისა სკოლის მოსწავლეთათვის, რომელიც ახსოვს ყოველ ქართველს საბჭოთა დროიდან.

თეატრს გარეთ სააკაშვილის საბრძოლო სული ყველგან შესამჩნევია (მაშინაც კი, როცა მისი წარმატება აღიზიანებს დიდ ბიჭს ჩრდილოეთში – რუსეთის პრეზიდენტმა პუტინმა ყველანაირი კონტაქტი შეწყვიტა საქართველოსთან, სააკაშვილი კი, როგორც ჩანს ქვეყანაში ბალანსს ინარჩუნებს). ქალაქის შენობები მხიარული ფერებითაა მოხატული. სააკაშვილს უყვარს შადრევნები, ისინი ქალაქის მრავალ მოედანზე გაკეთდა.

და თეატრს შიგნით: ძალიან დიდია აქტივობაა. ანანიაშვილი მართავს რეპეტიციას ჩაბნელებული დარბაზიდან; მიკროფონში ხან ქართულად საუბრობს, ხან კი რუსულად და ინგლისურად. შესწორებებში, რომლებსაც მოცეკვავეებს აძლევს, მხოლოდ სითბო შეგიძლიათ იგრძნოთ. შენიშვნები არ არის მტკივნეული. მოცეკვავეებს სახელით მიმართავს. „ბურნონვილის მკლავები“ – ამბობს მშვიდად და შემდეგ ახალგაზრდა ქალი თავად ადის სცენაზე და აკეთებს ამ მოძრაობებს.

მოცეკვავეები სწრაფად და უშეცდომოდ მოძრაობენ, ბურნონვილის ვარიაციებს გააზრებულად და ერთგვარი კმაყოფილებით აკეთებენ. ბევრი მოცეკვავე დაბრუნდა სამშობლოში ანანიაშვილის დაბრუნების შემდეგ და ახლა კვლავ ჩამოდიან:

„ჩვენთვის აქ ყოფნა პერსპექტიულია“, – ამბობს ვასილ ახმეტელი, რომელიც სკოპიიდან, მაკედონიიდან დაბრუნდა თებერვალში. „ჩვენს კომპანიაში ახლა ახალგაზრდა ხალხია და კარგი რეპერტუარი“.

„ყველა მაქსიმუმს ცდილობს“, – ამბობს ანა მურადელი, რომელიც ერთ-ერთი პირველი ჩამოვიდა სამშობლოში 2004 წელს. „სამუშაოსთან ყველა საქმის სიყვარულითაა დაკავშირებული. მე მნიშვნელოვნად გავიზარდე, როგორც მოცეკვავე და როგორც პიროვნება“.

„ეროვნული ბალეტი ეროვნული ოპერა“

თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის საბალეტო დასმა ამ ზაფხულს გასტროლი გამართა ამერიკის შეერთებულ შტატებსა და იაპონიაში.

ამერიკის შეერთებულ შტატებში 4-დან 25 ივნისის ჩათვლით საბალეტო დასი სამ პრესტიჟულ ფესტივალზე გამოდიოდა. სპოლეტოს, ნიუ ჰევენისა და ჯაკობს ფილოუს საფესტივალო პროგრამის ფარგლებში წარმოდგენილ იქნა „გედების ტბა“, „ჟიზელი“, ბალანჩინის „მოცარტიანა“, თრეი მაკინტაერის „წამი გარდასახვამდე“ და გრანდ დივერტისმენტი „დონ კიხოტიდან“. ჯაკობს ფილოუს 75-ე ფესტივალის გახსნისადმი მიძღვნილ გალა კონცერტში გრან პა „დონ კიხოტიდან“ ლალი კანდელაკმა და ირაკლი გახტაძემ შეასრულეს. დასი, წარმატებული გასტროლის შემდეგ, ამერიკის შეერთებული შტატებიდან ივნისის ბოლოს დაბრუნდა და იაპონიაში წასვლისათვის მზადებას შეუდგა, სადაც ორი ბალეტი უნდა წარმოედგინათ – „გედების ტბა“ და „დონ კიხოტი“.

ჩვენს დასთან ერთად სპექტაკლებში მონაწილეობდნენ დიდი თეატრის სოლისტები სერგეი ფილინი (აშშ-ში) და ანდრეი უვაროვი (იაპონიაში), რომლებიც ნინო ანანიაშვილს უწევდნენ პარტნიორობას. იაპონიაში ორ სპექტაკლში („დონ კიხოტი“) ლალი კანდელაკთან ერთად ABT-წამყვანმა სოლისტმა ანხელ კორელამ იცეკვა.

ნინო ანანიაშვილი *საბალეტო დასის სამხატვრო ხელმძღვანელი:*

დღეს საბალეტო დასის გაყვანა ქვეყნის გარეთ, თანაც სრული შემადგენლობით, დიდ პრობლემას წარმოადგენს. მსოფლიოში რამდენიმე პროდიუსერია, ვინც ასეთ გასტროლს აფინანსებს. ის, რომ ჩვენ მოგვეცა ასეთი საშუალება ძალზე სასიამოვნო ფაქტია. გარდა ამისა, როგორც სამხატვრო ხელმძღვანელი, ბედნიერი ვარ, რომ საქართველოს დამოუკიდებელი სახელმწიფოს საბალეტო დასი, ჩემი ხელმძღვანელობით პირველად გავიდა ამერიკის შეერთებულ შტატებსა და იაპონიაში საგასტროლოდ. მნიშვნელოვანია ისიც, რომ დიდი შეფასებები მივიღეთ. გაზეთმა New York Times გასტროლის პერიოდში ორჯერ გამოაქვეყნა რეცენზია. ასეთ მოკლე პერიოდ-ში ერთ დასს ამხელა ყურადღებას, ჩვეულებრივ, არ უთმობენ.

აქ იმართებოდა
სპოლეტოს ფესტივალი

აშშ-ში, როგორც მოცეკვავეს კარგად მიცნობენ, მაგრამ დასი, რომელსაც ვხელმძღვანელობ, პირველად იხილეს, ანუ ამ რანგში პირველად გამიცნეს. ყველაზე სერიოზული შედეგი, ალბათ, ის არის, რომ 2008 წლის თებერვალში კვლავ მიგვიწვიეს საგასტროლოდ აშშ-ში. სპექტაკლები გვექნება ბევრ ქალაქში. გამოვალთ ნიუ იორკში, ბრუკლინის აკადემიაში, სადაც მსოფლიო დონის დასები გამოდიან. მნიშვნელოვანია ისიც, რომ საშუალება გვექნება, ჩვენი ორკესტრიც წავიყვანოთ, რაც ჩვენს სპექტაკლებს უკეთ წარმოაჩენს“.

ეგზერსისი ოკეანის ნაპირზე

მარინა ალექსიძე *პედაგოგ-რეპეტიტორი:*

„ამერიკელი მაყურებელი საკმაოდ თავისებურია. ბოლომდე არ რეაგირებს. ეს განწყობა შეიძლება მსახიობსაც გადაედოს და ხელიც შეუშალოს. მაგრამ ყველამ – სოლისტებმაც და კორდებალეტმაც მაქსიმალურად კარგად იმუშავეს. ოვაციები ნამდვილად იყო და ჩვენს სპექტაკლებს მოწონება ხვდა. ჩარლსტონში საკმაოდ დიდ დარბაზში გვქონდა სპექტაკლები. როგორც გვითხრეს, იარუსები არც თუ ხშირად იღება. ჩვენს სპექტაკლებზე იარუსებიც სავსე იყო. ნიუ ჰევენში მქონდა კლასი იქაური მოცეკვავეებისათვის, რომელმაც საკმაოდ საინტერესოდ ჩაიარა“.

სპექტაკლის შემდეგ

ვასილ ახმეტელი *წამყვანი სოლისტი:*

„ყველას ერთი სურვილი გვქონდა – კარგად წარმოგვეჩინა ჩვენი სახე. მგონი, შევძელით ეს. დასი, ჩემი აზრით, კარგ ფორმაშია. იმ წლების შემდეგ, რაც დასმა გაიარა, არც მოველოდი ასეთ პროფესიონალიზმს. სპექტაკლებმა კარგად ჩაიარეს. მაყურებელი კმაყოფილი იყო. რა თქმა უნდა, გვეხმარებოდა ქალბატონი ნინოს სახელი და პასუხისმგებლობასაც გვმატებდა“.

გულნარა ხუბერაშვილი *კონცერტმაისტერი:* „ამერიკაში გასტროლის დროს ყველგან თან დაგვყვებოდა New York Times კორესპონდენტი, რომელიც აშუქებდა ჩვენს გამოსვლებს. რეცენზიები თქვენთვის კარგადაა ცნობილი. ჩარლსტონში გამართული სპექტაკლების შემდეგ კრიტიკოსებმა ნიუ ჰევენში წამოსვლის სურვილიც გამოთქვეს. სპექტაკლები ანშლაგებით მიმდინარეობდა, განსაკუთრებით აქტიურობდნენ იქ მცხოვრები ქართველები. ჯაკობს ფილოუს ფესტივალზე დიდი ინტერესი იყო ბალანჩინის „მოცარტიანას“ მიმართ. მართლაც დაძაბული გრაფიკი გვქონდა. დიდი წარმატება ჰქონდათ სოლისტებს, ჯაკობს ფილოუში კი – განსაკუთრებით ლაშა ხოზაშვილს, რომელსაც ექვსი სპექტაკლის ცეკვა მოუხდა ზედიზედ. ლაშამ აქ სპეციალური კლასი ჩაატარა ნორვეგიელი მოცეკვავეებისათვის და საკმაოდ წარმატებულად. დიდი მადლობა გადაუხადეს ნიუ ჰევენში ჩატარებული კლასისათვის ჩვენს პედაგოგს ქალბატონ მარინა ალექსიძეს“.

თეონა ჩარკვიანი *საბალეტო დასის გამგე:* „დასის ნაწილი ნიუ ჰევენიდან საქართველოში დაბრუნდა, ხოლო დანარჩენები მასაჩუსეტის შტატში „ჯაკობს ფილოუს“ ფესტივალში მონაწილეობის მისაღებად დავრჩით. ვცხოვრობდით მწვანეში ჩაფლულ პატარა ქალაქ ლიში. ეს იყო არაჩვეულებრივად მშვიდი და ლამაზი გარემო. აქ წარმოვადგინეთ ბალანჩინის ერთმოქმედებიანი ბალეტი „მოცარტიანა“, თრეი მაკინტაერის „წამი გარდასახვამდე“ და გრანდ დივერტისმენტი „დონ კიხოტიდან“. „მოცარტიანაში“ New York City Ballet საბალეტო სკოლის აღსაზრდელები მონაწილეობდნენ. მათი მშობლები აღფრთოვანებას ვერ მალავდნენ ჩვენი დასის შესრულების გამო“.

ლაშა ხოზაშვილი *წამყვანი სოლისტი:* „ამერიკაში საკმაოდ დატვირთული ვიყავი. ბოლო ერთი კვირის განმავლობაში ზედიზედ რამდენიმე სპექტაკლი ვიცეკვე, მათ შორის „მოცარტიანაში“ სოლო პარტია ოთხჯერ. საერთოდ, კმაყოფილი ვარ ამ გასტროლებით, ვფიქრობ, კარგად წარმოვაჩინეთ ჩვენი შესაძლებლობები“.

ნინო ანანიაშვილი და სერგეი ფილინი

The New York Times

ალასტაირ მაკაილი, 18.06.2007

„პარასკევს, როდესაც შუბერტის თეატრში, ხელოვნების საერთაშორისო ფესტივალის ფარგლებში მე ვუყურებდი „ჟიზელს“ ქართული დასის შესრულებით, ვიხსენებდი, რომ 21 წელი გავიდა მას შემდეგ, რაც მე ვნახე ანანიაშვილის მიერ შესრულებული „ჟიზელი“ პარიზში.

ამ სპექტაკლის პირველი დასავლური ტურნეს დროს ანანიაშვილი იყო დიდი თეატრის ყველაზე ახალგაზრდა ჟიზელი, რომელმაც მომენტალურად აუღო ალღო ამ ბალეტის დრამატულობას. იგი ისეთივეა, როგორიც მაშინ – ირმის მსგავსი თვალებით, ხელებისა და ფეხების საყვარელი, მშვიდი, მოქნილი მოძრაობებით. სხვა პერსონაჟებთან ურთიერთობა სცენაზე კვლავ ამაღელვებელი და მგრძნობიარეა, მისი რიტმულობა და ფორმაცია ისევ არაჩვეულებრივად ზუსტია.

ბალეტის ქორეოგრაფიული ტექსტი ჩვეულებისამებრ ემყარება ჟან კორალის, ჟიულ პეროსა და მარიუს პეტიპას. უნდა ითქვას, რომ მართლაც პატიოსნად შესრულებული ვერსიაა, თუმცა პირველი აქტის დივერტისმენტი გაკეთებულია როგორც პა დე სიზი, პა დე დეს ნაცვლად, პეტიპასეული წყობით ან რამდენიმე ცვლილებით ზოგ ადგილას. ამ რედაქციაში წარმოდგენილია ჩემთვის ახალი პერსონაჟი – დაქირავებული გლეხი ქალი, რომელიც უვლის ალბერის სახლს ტყეში და ხელს აფარებს მას. გასაოცარია, თუ რამხელა ეფექტს ახდენს ეს პერსონაჟი.

სამწუხაროდ, ეს ბალეტი წარმოდგენილი იყო შუბერტის თეატრის დარბაზში, სადაც საორკესტრო ორმო პატარაა ადოლფ ადანის პარტიტურისთვის, რომელიც დიდი თეატრის ვერსიით შესრულდა (მინკუსისა და სხვათა ჩანართებით).

ქართველები ცეკვავენ მუსიკალური სიზუსტით, როგორც თვით ანანიაშვილი. სტილი სუფთაა და ქალთა კორდებალეტი სინქრონულად და ერთნაირად ცეკვავს.

ალბერს ცეკვავდა დიდი თეატრის ვარსკვლავი სერგეი ფილინი, რომელიც გვხიბლავდა თავისი ახალგაზრდული შესრულების სტილითა და არაჩვეულებრივი ნახტომებით.

მიუხედავად იმისა, რომ ქართული ჟიზელის ისტორია სათავეს 1940 წლიდან იღებს, ნათელია, რომ დასისთვის ეს ახალია. ამ რედაქციის მომხიბვლელობა მისი სიმარტივეა, როგორიც თავად ჟიზელია და არ არის გაფუჭებული პრეტენზიული რეინტერპრეტაციით, ზედმეტი მანიერიზმით. ამ გასტროლების ფარგლებში ნაჩვენები იქნება ბალანჩინის ბალეტები (რომელიც წარმოშობით ქართველი იყო) და დასავლეთში დაბადებული ქორეოგრაფების ნაწარმოებები. მე მოუთმენლად ველი შემდეგ შეხვედრებს მათთან“.

საბალეტო დასის გასტროლებს ამერიკაში ორი პუბლიკაციით გამოეხმაურა New York Times და სხვა გაზეთები. ინტერესმოკლებული არ იქნება, თუ მკითხველს შევთავაზებთ ამ გამოხმაურებების ფრაგმენტებს:

The New York Times

ალასტაირ მაკაილი, 23.06.2007

„საინტერესოა, რომ ჯაკობს ფილოუს მაყურებელს მოეწონა თრეი მაკინტაერის „წამი გარდასახვამდე“, რომელიც ჰიუსტონის ბალეტისთვის 1996 წელს შეიქმნა (საქართველოში დაიდგა ალექსეი ფადეეჩევის მიერ).

„წამი გარდასახვამდე“ განწირულია, დაიპყროს მაყურებლის გულები, ნათელი საცეკვაო შარმით, როგორც „დონ კიხოტი“ ახდენს ამას თავისი სრული ვირტუოზულობით.

აქაც ნათლად ჩანს, თუ როგორი ნიჭიერები არიან მოცეკვავეები სუფთა მოძრაობებით. მამაკაცები არაჩვეულებრივი რიტმული ნახტომებით შთამბეჭდავნი არიან და ყოველთვის მზად არიან, რაც შეიძლება ზემოთ ასწიონ თავიანთი ქალი პარტნიორები.

ყველაზე ფაქიზი ბალანჩინის „მოცარტიანაა“. ვისაც ნანახი აქვს ეს ბალეტი დიდ სცენაზე მოხიბლული დარჩება თუ როგორ გადმოიცემა მისი ქორეოგრაფია პატარა სცენაზე. ბალეტის თემა და ფინალური ვარიაცია არაჩვეულებრივია და უფრო მძაფრად არის გადმოცემული ქალი და მამაკაცი სოლისტების მიერ. ნინო გოგუა და ლაშა ხოზაშვილი – მომხიბვლელად გამოიყურებიან, თუმცა ზედმეტად ფრთხილი და თავშეკავებულნი იყვნენ, რომ გამოემჟღავნებინათ ამ ბალეტის გასაოცარი სიბრძნე.

ეს სამი წარმოდგენა არასაკმარისი იყო ბალეტის მოყვარულთათვის, თუმცა ნათლად აჩვენებს, თუ რამხელა მიღწევები აქვს ქართულ ბალეტს. ნინო ანანიაშვილს, რომელიც სათავეში ჩაუდგა დასს 2004 წელს, მემკვიდრეობად ერგო კარგი მოცეკვავეები, მაგრამ მან ჩამოაყალიბა მიღწევების მაღალი სტანდარტი. მიეცით ამ დასს დიდი სცენა, ცოცხალი მუსიკა და საქართველომ შეიძლება, იამაყოს მათით. ამჯერად ამ ნათელმა, ძლიერმა ბალეტმა შორეული ქვეყნიდან საერთაშორისო აღიარება ჯაკობს ფილოუს 75-ე საიუბილეო ფესტივალიდან დაიწყო“.

The Post and Courier
charleston.net

დოთი ეშლი, 08.06.2007

„გედების ტბის“ არაჩვეულებრივი რედაქცია, რომელიც სამშაბათს იქნა წარმოდგენილი პრიმა ბალერინა ნინო ანანიაშვილისა და საქართველოს სახელმწიფო ბალეტის მიერ, ბალეტომანებს უბიძგებს აღარ ნახონ ეს სპექტაკლი სხვა რედაქციით.

„გალიარდის“ დარბაზში ძლივს დატეულმა აუდიტორიამ ფეხზე ამდგარმა დააჯილდოვა პრიმა-ბალერინა ოვაციებით. თუმცა ეს მთელმა დასმაც დაიმსახურა თავისი პროფესიონალიზმით. განსაკუთრებით გედებმა, რომლებსაც უნაკლოდ ეჭირათ არაბესკის პოზიცია. ანანიაშვილმა, რომელიც დღემდე რჩება ამერიკის ბალეტის თეატრის პრიმად, ადრეც იცეკვა სპოლეტოს ფესტივალზე, მაგრამ, ამჯერად, მას ორმაგი პასუხისმგებლობა აქვს, როგორც დიდი დასის სამხატვრო ხელმძღვანელს და სოლისტს.

ოდეტა-ოდილიას პარტიაში მისი თავბრუდამხვევი 32 ფუეტითა და სხეულის მოქნილი ბრწყინვალე არაბესკით ანანიაშვილმა თითქოს უგულებელყო მისი 44 წელი და ის ფაქტი, რომ მას 15 თვის წინ ქალიშვილი შეეძინა.

პრემიერმა სერგეი ფილინმა პრინც ზიგფრიდის როლში ჰაერში სწრაფი ტურებით წარმოადგინა რუსული ექსპანსიური საბალეტო სკოლის სიმდიდრე და ბრავურა. ასევე არტისტულად გამოხატა მან შეცბუნება და მწუხარება, როდესაც იგი ჯადოქარ როტბარტის მიერ იქნა მოტყუებული, რომლის პარტია ბრწყინვალედ შეასრულა დავით ხოზაშვილმა. ჩარლსტონის სიმფონიური ორკესტრი ზაზა კალმახელიძის დირიჟორობით უნაკლოდ და სუფთად ასრულებდა ჩაიკოვსკის მუსიკას.

„გედების ტბა“ სხვადასხვა რედაქციით იდგმება და ყველაზე ხშირად ოდეტასა და პრინცი ზიგფრიდის დაღუპვით სრულდება. ქართულ რედაქციაში ამ ბალეტს ტკბილ-მწარე დასასრული აქვს. მოცეკვავე იღვიძებს სარეპეტიციო დარბაზში, სადაც მას ესიზმრება მშვენიერი ოდეტას სიყვარული და ახლა მხოლოდ ტკბილი მოგონებები რჩება თავისი სიზმრიდან“.

РУССКИЙ БАЗАР

ნინა ალოვერტი, 08.06.2007

„ნიუ იორკელი კრიტიკოსები და მაყურებელი ნიუ ჰევენში გავემგზავრეთ, რათა დავსწრებოდით „ჟიზელს“ ქართული დასის შესრულებით, მით უფრო, რომ მთავარ პარტიებში თავად ნინო ანანიაშვილი და დიდი თეატრის სოლისტი სერგეი ფილინი გამოდიოდნენ.

უპირველესად მინდა აღვნიშნო, რომ დასმა მთლიანობაში ჩემზე ძალიან კარგი შთაბეჭდილება დატოვა. კორდებალეტი მეორე მოქმედებაში ვილისების სცენას საოცრად სუფთად ცეკვავდა. ამერიკის ბალეტის თეატრში ხშირად ასე არ ცეკვავენ.

ანანიაშვილისა და ფილინის დუეტში მე მომეწონა შესრულების სტილის ერთიანობა: ასე ცეკვავდნენ 50-60-იან წლებში. შესრულების ამ ერთიანობაში იყო კეთილშობილება და ჰარმონიულობა. ნინო ანანიაშვილმა დაიმსახურა ის დიდება, რომლითაც სარგებლობს მსოფლიოში.

მირტას პარტიის შემსრულებლის ნინო ოჩიაურის ცეკვა მთლიანობაში შესანიშნავ შთაბეჭდილებას ახდენს: მაღალი ნახტომით, ამაყი მიმოხვრით, შესრულების კარგი მანერით.

მამაკაცები დასში, მართალია არ არიან ისე ბევრნი, როგორც გოგონები, მაგრამ ყველა მომხიბვლელია. მათ უეჭველად კეთილშობილური წარმომავლობა აქვთ.

პერსპექტიულ მოცეკვავედ მომეჩვენა დავით ხოზაშვილი (მეტყევე ჰანსი). ის სავსეა ენერგიითა და შინაგანი ძალით“.

ამერიკაში გასტროლის შემდეგ, დატვირთული საგასტროლო პროგრამით, საბალეტო დასი 11 ივლისს იაპონიაში გაემგზავრა და იაპონიის ხუთ ქალაქში წარმოადგინა „გედების ტბა“ და „დონ კიხოტი“. გასტროლი კომპანია „JAPAN ARTS“-ის მიწვევით განხორციელდა.

ნინო ანანიაშვილი: „2008 წელს კომპანია „Japan Arts“-თან ჩემი თანამშრომლობის 20 წელი სრულდება. მისი პრეზიდენტი ნაკატო 1989 წელს თავად ჩამოვიდა მოსკოვში და ჩემთან მოლაპარაკებები გამართა. მანამდე ამომავალი მზის ქვეყანაში ცხრაჯერ ჩაიშალა ჩემი ჩასვლა. ჩვენი ურთიერთობა შემდეგ ტრადიციული გახდა. კომპანიის წარმომადგენლები ძალიან ნერვიულობდნენ, რადგან ჩაჰყავდათ დასი, რომელსაც არ იცნობდნენ. ეს დიდი პასუხისმგებლობა გახლდათ. შეგვიქმნეს საუკეთესო პირობები, დაგვითმეს ისეთი სცენები, სადაც მსოფლიოს უდიდესი თეატრები და საბალეტო კომპანიები გამოდიან. ჩვენი მხრიდანაც ეს დიდი რისკი და განაცხადი იყო. წარმატებული სპექტაკლები ჰქონდა ლალი კანდელაკს ABT-ის წამყვან სოლისტთან ანხელ კორელასთან. ჩემთან ერთად იცეკვა დიდი თეატრის პრემიერმა ანდრეი უვაროვმა. ბრწყინვალედ გამოიყურებოდა კორდებალეტი. ყველა სოლისტის კმაყოფილი ვარ.

იაპონიაში ტრადიციად მაქვს, როცა გალა კონცერტებს ვმართავ, პატარა სიურპრიზს ვუმზადებ მაყურებელს. ახლაც ასე გავაკეთე. ტოკიოში ბოლო სპექტაკლის შემდეგ ჩვენმა სოლისტმა ნინო გოგუამ და კორდებალეტის მოცეკვავეებმა ლიკა ლაბაძემ, ლანა მღებრიშვილმა, სოფო ფანცულაიამ, ეკა ლომინაძემ „კინტოური“ შეასრულეს, რომელიც გია მარღანიამ სპეციალურად ჩვენთვის დადგა.

არ შემიძლია, მადლიერება არ გამოვხატო იაპონიაში საქართველოს წარმომადგენლის დავით ნოზაძის მიმართ, რომელმაც დიდი დახმარება გაგვიწია. თავად იაპონელები ამბობდნენ, რომ საგასტროლოდ ჩამოსული არც ერთი ქვეყნის საელჩოს არ გამოუხატავს ამხელა ყურადღება და თანადგომა“.

თეონა ახოგაძე, ლალი კანდელაკი, ნინო ანანიაშვილი
და ანხელ კორელა

ჩელიტა – ლალი კანდელაკი, ბაზილი – ანხელ კორელა.
„დონ კიხოტი“

კახა საკანდელიძე *საბალეტო ადმინისტრაციის დირექტორი:*

„სპექტაკლები ხუთ ქალაქში გავმართეთ – ტოკიოში, იოკო-სუკაში, ნავოიაში, ოსაკასა და ოკაიაში. ტოკიოში სპექტაკლები ბუნკა კაიკანის ცნობილი თეატრის სცენაზე მიმდინარეობდა, რომლის დარბაზი 3000 მაყურებელს იტევს და დარბაზის ზომის კულისები აქვს. ჩვენ ჩვენი ლოგოიანი მაისურები და ავტოგრაფები დავტოვეთ კულისებში მოწყობილ მუზეუმში. თეატრს საოცრად განებივრებული მაყურებელი ჰყავს, რომლისთვისაც ნინო ანანიაშვილის ყოველი ჩასვლა დიდი დღესასწაულია. ამიტომაც არ ცხრებოდა აპლოდისმენტები. განუზომელი ემოციები იყო. სპექტაკლის შემდეგ, დაახლოებით ორი საათი 1000-მდე მაყურებელი გარეთ უცდიდა ჩვენს სოლისტებს იმისათვის, რომ მადლობა ეთქვათ. ოსაკაში ვხედავდი იმავე მაყურებელს, რომელსაც ტოკიოში შევხვდი. ქალბატონ ნინოს ვუთხარი, ეს კაცი მეცნობა მეთქი. „ეს ჩვენი მაყურებელია, იოკოსუკაში იყო, აქაც არის და იქაც ჩამოვა ნაგოიაშიო“, – მითხრა. ყველა ქალაქში სრული ანშლაგი იყო. საოცრად მოწესრიგებული ხალხია. მინდოდა, დილით ყველაზე ადრე მივსულიყავი და მენახა როგორ მუშაობდნენ, მაგრამ ვერ მოვახერხე, რადგან ყველაფერი მზად მხვდებოდა“.

ნუკრი მაღალაშვილი *პედაგოგ-რეპეტიტორი:*

„მთლიანობაში გასტროლმა წარმატებით ჩაიარა. თავად ის ფაქტი, რომ ნინო ანანიაშვილი იაპონიაში ძალიან უყვართ მნიშვნელოვანი იყო ჩვენთვის. ამასთანავე, ჩვენი დასისათვის ეს პირველი სერიოზული გასვლა იყო ასეთ დიდ ქვეყანაში. კარგად მახსოვს 1975 წელი, როცა იაპონიაში ვიყავით საგასტროლოდ დიდი თეატრის სოლისტებთან ერთად. ახლა ჩვენს ქვეყანას დამოუკიდებლად წარმოვადგენდით. მაყურებელი ძალიან თბილია და ასევე თბილად მიიღო ჩვენი დასი. ასობით ადამიანი მოწესრიგებულად, საათობით ელოდა მსახიობებს ავტოგრაფებისათვის. არაჩვეულებრივად ორგანიზებული იყო ყველაფერი. არაფრის თქმა, მითითება მათ არ სჭირდებათ. პირველ რეპეტიციაზე სკამი დავიდგი სცენის შუაგულში, მეორე რეპეტიციაზე უკვე ზუსტად იმავე ადგილზე დამხვდა სკამი. შეიძლება უმნიშვნელო დეტალია, მაგრამ ბევრის მთქმელი. მინდა აღვნიშნო კორდებალეტის თითქმის უნაკლო შესრულება. ბრწყინვალედ იცეკვეს „გედების ტბაში“ ლალი კანდელაკმა და ლაშა ხოზაშვილმა, რამდენიმე რეპეტიცია გვქონდა. თანაც ისინი ერთად ამ სპექტაკლს პირველად ცეკვავდნენ და წარმატებაც დიდი ჰქონდათ“.

ნიალა გოჟიაშვილი *წამყვანი რეჟისორი:*

„მარტო გაკვირვებას ვერ დაარქმევ იმას, რაც იაპონიის ნახვით განვიცადე. არ ვიცი, რა სიტყვა მოვიფიქრო, რომ გადმოვცე ჩემი განწყობა, ემოცია. ქვეყანაში, სადაც 200 მილიონი ადამიანი ცხოვრობს, ყველაფერი ისეა აწყობილი, რომ ნაფიქრია თითოეულ ნიუანსზე. ეს იგრძნობოდა ყველა თეატრში, სადაც გამოვდიოდით. ცნობილია, რომ იაპონელები ტექნიკის განვითარების უმაღლეს მწვერვალზე არიან, მაგრამ მარტო ამას არ მოვუხიბლივარ. მე დავინახე, რას ნიშნავს პროფესიონალიზმი და რას ჰქვია მუშაობის ხარისხი. სამი კვირის განმავლობაში ჩვენ გვქონდა მრავალი სპექტაკლი, გადავდიოდით ქალაქიდან ქალაქში, გვქონდა უამრავი რეპეტიცია, მაგრამ მე არ მიგრძვნია დაღლა. ალბათ, იმიტომ, რომ იაპონიაში უპირველესად ფიქრობენ ადამიანზე და ცდილობენ, გაგიმარტივონ ყველანაირი საქმე.

სპექტაკლის შემდეგ

ავტოგრაფები ბუნკა კაიკანის თეატრში

არნახული კეთილგანწყობა შეექმნათ ჩვენ მიმართ. ჩვენმა მასპინძელმა ისაო სუძუკიმ ბოლოს გვითხრა, რომ ასეთი მხიარული, ერთმანეთის მიმართ კეთილად განწყობილი, მუდამ მზადყოფნაში მყოფი სხვა დასი მათთან არ ყოფილა.

გასტროლი კინტოურით დასრულდა

ჩვენმა მოცეკვავეებმა მართლაც ბრწყინვალედ იცეკვეს. სპექტაკლებს კულისებიდან, დიდ მონიტორზე, ვადევნებდი თვალს (იქ არის განლაგებული სარეჟისორო პულტი) და ვხედავდი როგორი ხაზობრივი სისწორით ცეკვავდა „გედების ტბაში“ კორდებალეტი.

კიდევ ერთი რამ დამამახსოვრდა, რაც ჩემი ბავშვობის შემდეგ არსად მინახავს. სპექტაკლების შემდეგ მოცეკვავეების უამრავი თაყვანისმცემელი და მათი ავტოგრაფების მსურველები თეატრიდან მეტრომდე იდგნენ და ელოდნენ მათ გამოსვლას. რაც შეეხება ნინო ანანიაშვილის მიმართ მათ სიყვარულს, ეს ცალკე საკითხია. მათ უყვართ ეს პრიმა-ბალერინა და ამას უდიდესი სითბოთი გამოხატავენ.

ბუნკა კაიკანის თეატრის დარბაზი. ტოკიო

ვინც ტოკიოს ცნობილ ბუნკა კაიკანის თეატრში შემოვა, საკუთარ ავტოგრაფს ტოვებს. რა სასიხარულო იყო, რომ დათო მახათელის ავტოგრაფი დაგვხვდა – „გამარჯობათ, ბიჭებო!“

ლაშა ხოზაშვილი *წამყვანი სოლისტი:*

„სულ რამდენიმე რეპეტიცია გავიარე ლალი კანდელაკთან. სპექტაკლი ბოლომდე არც გაგვივლია. გასტროლებზე „გედების ტბა“ ჩემი პირველი დიდი სპექტაკლი იყო. საერთოდ, სპექტაკლის წინ არ ვღელავ, მაგრამ იმის გათვალისწინებით, რაც ზემოთ გითხარით, ვნერვიულობდი. მაგრამ ყველაფერმა კარგად ჩაიარა. ბედნიერი ვარ, რომ ლალისთან მომიწია ამ ბალეტის ცეკვა. იგი ჩემთვის მარტო მეგობარი კი არ არის, არამედ დიდი ბალერინაა. სპექტაკლის შემდეგ, ერთი საათის განმავლობაში, ვისხედით და ავტოგრაფებს ვარიგებდით. საოცრად თბილი დამოკიდებულება ვიგრძენით. თბილი, ლამაზი მიღება გვქონდა. ყველაფერს გულით აკეთებენ, ყალბი სიცილი არა აქვთ“.

გულნარა ხუბერაშვილი *კონცერტმაისტერი:*

„იაპონიის ქალაქ იოკოსუკაში ახალგაზრდა ქართველების ოჯახი ჩამოვიდა. მათ ტოკიოში ბილეთები ვერ იშოვეს ჩვენს სპექტაკლებზე. ტოკიოდან ოსაკაში რომ გადავდიოდით, ჩვენთან ერთად იმგზავრეს იმ ადამიანებმა, რომლებიც სპექტაკლს ესწრებოდნენ და გაოცებული და ბედნიერები იყვნენ, რომ მსახიობებს ასე ახლოს უყურებდნენ“.

ნუკრი მაღალაშვილი *პედაგოგ-რეპეტიტორი:*

„დონ კიხოტში“ ლალი კანდელაკისა და ანხელ კორელას გამოსვლა არაჩვეულებრივი იყო. შემიძლია ვთქვა, რომ ლალის ასეთ დონეზე იმ კონკურსზეც არ უცეკვია, სადაც გაიმარჯვა. საოცრად კარგი მოცეკვავე და პარტნიორია კორელა, ამავე დროს დიდი მსახიობიც. მათი ტემპერამენტი დასსაც გადაედო და ბრწყინვალე სპექტაკლი შედგა. მაყურებელი დიდხანს არ უშვებდა სცენიდან სოლისტებს, აღარც კი მახსოვს რამდენჯერ გაიხსნა და დაიხურა ფარდა“.

ნიალა გოძიაშვილი *წამყვანი რეჟისორი:*

„დონ კიხოტში“, ლალი კანდელაკთან ერთად, იცეკვა საბალეტო სამყაროში აღიარებულმა სოლისტმა, ესპანელმა ანხელ კორელამ. ეს იყო სპექტაკლი-დღესასწაული. რეპეტიცია სულ 40 წუთი გაგრძელდა. მოვიდა, შეხვდა პარტნიორს და საჭიროდ აღარ ჩათვალა მთელი სპექტაკლის გავლა. მხოლოდ საკუთარი ვარიაციები გაიარა და დირიჟორს ტემპები აჩვენა. რაც შეეხება მიზანსცენებს, კორელამ განაცხადა, რომ სცენაზე გააკეთებს იმას, რასაც იმ მომენტში საჭიროდ ჩათვლის. იმედი ჰქონდა, ლალი მას გაუგებდა. ასეც მოხდა. ლალი საოცრად სხვანაირი იყო. ისინი ზუსტად ცეკვავდნენ იმას, რასაც ჩელიტა და ბაზილი უნდა ცეკვავდნენ „დონ კიხოტში“. მე არ ვიზიარებ იმ მოსაზრებას, რომ პარტნიორები სცენაზე უნდა ცეკვავდნენ იმას, რასაც ცხოვრებაში გრძნობენ. კორელამ და კანდელაკმა ეს მოსაზრება უფრო გამიმყარეს“.

თეონა ჩარკვიანი *საბალეტო დასის გამგე:*

„ტოკიოში, ბოლო სპექტაკლის შემდეგ, იაპონელებმა ულამაზესი ფეიერვერკი მოგვიწყვეს სცენაზე. ცვივოდა ფერად-ფერადი ქაღალდები. ჩვენმა ბიჭებმა საქართველოს ხუთჯვრიანი დროშები ააფრიალეს. აქვე გამოგვიცხადეს, რომ დასს 2010 წელს იაპონიაში კვლავ ელიან“.

დასის ქრონიკა

ლიზა – მარიამ ალექსიძე,
კოლენი – ვასილ ახმეტელი.
„ამაო სიფრთხილე“

თეატრში დაბრუნებულ ვასილ ახმეტელს მოკლე დროში რამდენიმე ახალი პარტიის მომზადება მოუხდა. 6 მაისს მან ესპადა იცეკვა „დონ კიხოტში“, 22 მაისს პირველი გამოსვლა ჰქონდა „მოცარტიანაში“, 29 მაისს კი – „სიმფონიური ვესტერნის“ მესამე ნაწილსა და ერთმოქმედებიან ბალეტში „წამი გარდასახვამდე“. 2 ოქტომბერს პირველად იცეკვა კოლენი „ამაო სიფრთხილეში“. 22 მაისს „ჩაკონაში“ მთავარი პარტია პირველად შეასრულა ლალი კანდელაკმა. დავით ხოზაშვილმა კი „მოცარტიანაში“ პირველად იცეკვა ჟიგა. 25 ოქტომბერს შედგა ლაშა ხოზაშვილის დებიუტი „დონიცეტი ვარიაციებში“.

ირაკლი ბახტაძე ნორვეგიაში

5-24 მაისს, ნორვეგიის ნაციონალური ბალეტის მიწვევით, საბალეტო დასის წამყვანი სოლისტი ირაკლი ბახტაძე ოსლოში იმყოფებოდა, სადაც მან პრინცი ზიგფრიდის პარტია იცეკვა პ. ჩაიკოვსკის ბალეტში „გედების ტბა“. ბახტაძე პარტნიორობას უწევდა ოსლოს საბალეტო დასის პრიმა-ბალერინას ინგრიდ ლორენსენს. მოცეკვავე ნორვეგიის წამყვანი თეატრის სცენაზე სამ სპექტაკლში გამოვიდა.

სეზონი გალა კონცერტით დაიხურა

27 მაისს, საბალეტო დასმა 155-ე თეატრალური სეზონი ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი გალა კონცერტით დახურა. კონცერტი საქველმოქმედო იყო და ქართული ბალეტის მეგობართა საზოგადოებისა და კომპანია „მაგთის“ ფინანსური მხარდაჭერით მოეწყო. გალა კონცერტს საქართველოს სხვადასხვა რეგიონიდან მოწვეული 1000 ბავშვი დაესწრო. კონცერტის დაწყებამდე ბავშვებს ქართული ბალეტის მეგობართა საზოგადოების მმართველი საბჭოს თავმჯდომარე ქალბატონი მარიელა ტეფტი მიესალმა. კომპანია „მაგთის“ სახელით კი ბალი ბიჭმა ბავშვები შესვენებაზე, წითელ დარბაზში, ნამცხვარზე მიიპატიჟა. გალა კონცერტზე დასმა ორი ერთმოქმედებიანი ბალეტი წარმოადგინა: „წამი გარდასახვამდე“ და „სიმფონიური ვესტერნი“, შესრულდა ორი პა დე დე ბალეტებიდან „დონ კიხოტი“, „ყვავილების ფესტივალი ჯენცანოში“ და ჟოკეების ცეკვა.

ქორეოგრაფიული სასწავლებლის გამოშვება

ნინო მათიაშვილი.
„პახიტა“

სასწავლო წლის ბოლოს ვ. ჭაბუკიანის სახელობის საბალეტო ხელოვნების სახელმწიფო სასწავლებლის ტრადიციული, გამოსაშვები საღამო გაიმართა. თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრში მოსულ მაყურებელს სასწავლებელმა საინტერესო საღამო მოუმზადა. დამდგმელი ბალეტმაისტერის ნუკრი მაღალაშვილის მიერ აგებულ პროგრამაში შესაძლებელი იყო ყველა იმ ეტაპის გააზრება, რომელსაც აღსაზრდელები სწავლების სხავადასხვა საფეხურზე გადიან. კლას-კონცერტის შემდეგ წარმოდგენილი იქნა ქართული, ისტორიულ-ყოფითი, სახასიათო ცეკვის გაკვეთილები, ტაიჩის კლასი, რომლის შესწავლა ბოლო ორი წელია დაიწყეს სასწავლებელში და უკვე საგულისხმო შედეგებიც აქვთ. პირველი-მესამე კურსის მოსწავ-ლეებმა მაყურებელს შესთავაზეს მინკუსის ბალეტი „პახიტა“ (პეტიპას ქორეოგრაფია). „პახიტას“ ცნობილ პა დე დეში ნინო მათიაშვილთან და თამარ ჯაშიაშვილთან ერთად დასის წამყვანი სოლისტი ლაშა ხო-ზაშვილი გამოვიდა.

ქართული ბალეტის მეგობრები

მარიელა ტეფტი და ნინო ანანიაშვილი სტიპენდიების გადაცემისას

156-ე თეატრალური სეზონის გახსნასთან ერთად საქმიანობა განაახლა ქართული ბალეტის მეგობართა საზოგადოებამ. 22 სექტემბერს, წითელ დარბაზში, საზოგადოების მმართველი საბჭოს თავმჯდომარემ მარიელა ს. ტეფტმა მორიგი მიღება გამართა, სადაც მოწვეულ იქნენ ამ საზოგადოების წევრები და სტუმრები.

ახალ თეატრალურ სეზონზე, ქართული ბალეტის მეგობართა საზოგადოებაში უკვე გაწევრიანდა 22 პიროვნება. ცვლილებებია მიღების პროცედურებში. სექტემბრიდან შემოღებულია ორი წრე: ოქროს (450 ლარი) და ვერცხლის (150 ლარი).

საზოგადოებამ ყოველწლიური სტიპენდიები გადასცა ვ. ჭაბუკიანის სახელობის საბალეტო ხელოვნების სახელმწიფო სასწავლებლის აღსაზრდელებს: მელორ ქოქაშვილს და თენგიზ ხუციშვილს – ნენსი გიფსონის სახელობის სტიპენდიები, თათია ისაკაძეს – ლია გოგოლაშვილის სახელობის სტიპენდია.

ეს სტიპენდიები მათ საშუალებას მისცემთ 2007-2008 სასწავლო წელს გადაიხადონ სწავლის საფასური. ნინო ანანიაშვილმა მადლობა გადაუხადა ქართული ბალეტის მეგობრებს და საინტერესო სიახლეებს დაჰპირდა ახალ თეატრალურ სეზონში.

გილოცავთ!

ლილიანა მითაიშვილის დაბადებიდან 70 წელი შეასრულდა

ჩვეულებრივად, როგორც ყოველ წელს ხდება, 17 სექტემბერს, ჩემს პედაგოგს ლილიანა მითაიშვილს დაბადების დღე მივულოცე. არც კი ვიცოდი, თურმე საიუბილეო თარიღი ჰქონია. მაგრამ ამას იმისთვის, რის თქმაც მინდა, არანაირი მნიშვნელობა არა აქვს. მე მინდა, მივულოცო ქალბატონ ლილიანას ეს დღე. ადამიანებს ყურადღება და სითბო მუდამ სჭირდებათ. ჩვენი ყოველდღიური, დაძაბული რიტმის გამო იქნებ ამას ყოველთვის ვერ ვახერხებდეთ, მაგრამ თავად იმდენ სიკეთეს გასცემს, არ შეიძლება, შენც არ გადმოგედოს. ამიტომაც მსურს, ამ პატარა წერილით გამოვხატო ჩემი სათქმელი. ჩემთვის ხომ იგი მხოლოდ პედაგოგი არ არის. უპირველესად ჩემი მეგობარია, უსიტყოდ გვესმის ერთმანეთის. შემიძლია ვთქვა, რომ ჩემი თეატრალური ცხოვრება, თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის საბალეტო დასში, მასთანაა დაკავშირებული. სცენაზე პირველი გამოსვლიდან დღემდე გვერდით მიდგას, მამხნევებს. თუ რაიმე წარმატება მქონია, ამაში მისი დიდი წვლილია.

მინდა, დიდი მადლობა გადავუხადო ქალბატონ ლილიანას, ჩვენს ლალას, როგორც მას სიყვარულით ვეძახით, ვუსურვო ჯანმრთელობა და ბედნიერება. მინდა კიდევ მრავალ წელს ვხედავდე ჩვენ გვერდით, ასეთი ენერგიით აღსავსე დიდ პროფესიონალს, რომელიც, მჯერა, კიდევ არაერთ თაობას გაუკვალავს გზას საბალეტო ხელოვნებაში.

სიყვარულითა და პატივისცემით
ცისია ჩოლოყაშვილი

„ლაურენსიას“ პრემიერამდე დაძაბულ შემოქმედებით სამუშაოს თეატრის სახელოსნოებში, სარეპეტიციო დარბაზებში, კულისებსა და ბოლოს სცენაზე კორდებალეტის მსახიობი და ამავდროულად, შ. რუსთაველის სახელობის თეატრისა და კინოს უნივერსიტეტის მეოთხე კურსის სტუდენტი ტატა ქათამაძე ოპერატორთან ერთად, ადევნებდა თვალს. ფილმი „ლაურენსია მოდის“ ტატას საკურსო ნამუშევარია. მისი პრემიერა თეატრის წითელ დარბაზში 18 ნოემბერს გაიმართა.

„არაბესკის“ თხოვნით ტატას ესაუბრა და ფილმის პრეზენტაციაზე მოსულ სტუმრებს საკუთარი აზრის გამოთქმა სთხოვა, პრეზენტაციის ერთ-ერთმა ორგანიზატორმა, საბალეტო დასის მსახიობმა **ლიკა ლაბაძემ**.

სპექტაკლის დაბადება კამერამ აღბეჭდა

ნუკრი მაღალაშვილი,
დამდგმელი ქორეოგრაფი:

სასიამოვნოდ გაკვირვებული დავრჩი ფილმის ნახვით. რეპეტიციების დროს გადაღებები მშვიდად, შეუმჩნევლად მიდიოდა და არც მეგონა, ამხელა მასალას თუ მოუყარეს თავი. უფრო სტუდენტურ ნამუშევარს ველოდი, ფილმი კი საკმაოდ სერიოზული ნამუშევარი აღმოჩნდა. ტატას, როგორც რეჟისორს, საკმაოდ სერიოზული ნიუანსები აქვს ნაჩვენები, რაც იმ დიდ შრომას აჩვენებს, ერთი საბალეტო სპექტაკლის შესაქმნელად რომ არის საჭირო. საინტერესო ინტერვიუებით, რეპეტიციის კადრებით, ქორეოგრაფის მუშაობის, დეკორაციებისა და კოსტიუმების შექმნის პროცესით ფილმი ზუსტ წარმოდგენას გვიქმნის იმაზე, როგორ დაიდგა „ლაურენსია“.

რატომ გადაწყვიტე გადაგეღო ფილმი „ლაურენსიაზე“. ჩვენთან ხომ ბევრი ბალეტი იდგმება?

„ლაურენსია“ ჭაბუკიანის მიერაა დადგმული სამოცი წლის წინ და მისი აღდგენა დღეს უკვე ისტორიული მოვლენაა. დოკუმენტური კინოს მიზანი კი ის არის, რომ ისტორიას არ დაეკარგოს ასეთი მასშტაბური ფაქტები. ამჯერად ჩემთვის საინტერესო აღმოჩნდა „ლაურენსია“. შემდეგში შეიძლება სხვა ბალეტიც გახდეს.

შენ თავად მონაწილეობ ამ სპექტაკლში. უამრავი რეპეტიცია, კლასები... როგორ შეათავსე ყველაფერი ეს გადაღებასთან?

ეს მართლაც ძალიან რთული იყო. რეპეტიციებს შორის დავრბოდი გადაღებებზე. დიდად დამეხმარა ჩემი ოპერატორი ირაკლი მეტრეველი, რომელიც ხშირად რეჟისორის საქმეს აკეთებდა.

როგორც რეჟისორმა კულისებს მიღმა რაიმე სიახლე ხომ არ დაინახე?

იცი, უფრო კარგად დავინახე უამრავი ადამიანი, რომელიც სპექტაკლის შექმნაში მონაწილეობს და კულისებს მიღმა რჩება. მათი სახელები არც აფიშაზე წერია და არც ბუკლეტში. ამ ადამიანების შრომის ჩვენება იყო ჩემი ფილმის ერთ-ერთი მიზანი.

ნინო ანანიაშვილი,
საბალეტო დასის სამხატვრო ხელმძღვანელი:

გარდა იმისა, რომ ძალიან მესიამოვნა ფილმის ნახვა, თავად ფაქტია აღსანიშნავი, რომ თეატრში არა მარტო ნიჭიერი მსახიობები, არამედ შემოქმედი ახალგაზრდობა გვყავს. ბალეტის შექმნის პროცესი ყოველთვის იკარგება, მაყურებელი ვერ ხედავს მას. რეჟისორმა მაყურებელს სწორედ ეს დაანახვა. სამწუხაროდ, ძველ სპექტაკლების შესახებ ძალიან მწირი ინფორმაცია გაგვაჩნია, ცოტაა ფოტომასალა, არაფერს ვამბობ ვიდეომასალაზე. ამიტომ დიდი მნიშვნელობა აქვს ამ ფილმის გადაღებას, რადგან მომავალ თაობებს კარგად შეეძლებათ დაინახონ ბალეტის შექმნის პროცესი.

ინტერვიუ რეჟისორთან

რა იყო მთავარი სათქმელი ამ ფილმში. რა გინდოდა, გეთქვა მაყურებლისათვის?

მაყურებელი უფრო კულისებში შევახედე. მინდოდა, მათ ეგრძნოთ ის დაძაბულობა, ნერვიულობა, თითქოს უმნიშვნელო წვრილმანები, მაგრამ აუცილებელი სპექტაკლის საბოლოო სახისთვის. შევეცადე, გადმომეცა ბალერინების რთული სამუშაო პროცესი, პარტიის მომზადებას რომ ახლავს თან. ამიტომაც ფილმში ნაკლებადაა გამოყენებული მთლიანი ცეკვები ან ვარიაციები და თხრობა უფრო დეტალებზეა აგებული.

ნაცნობ გარემოში იყავით, წესი არ უნდა გაგჭირვებოდა გადაღების პროცესი.

ასე მგონია, სხვა თეატრში უფრო გამიადვილდებოდა. როცა არ იცნობ რესპონდენტებს, უფრო თამამი და გაბედული ხარ. რთული ყოფილა შენს ნაცნობებთან, კოლეგებთან მუშაობა. ცოტათი ვფრთხილობდი და მეშინოდა, რაიმე არ შემშლოდა.

როგორ შეატყვე, მაყურებელი სწორად მიგიხვდა ჩანაფიქრს?

მინდოდა, მაყურებელს მხოლოდ მშრალი ინფორმაცია არ მიეღო, არამედ პროცესების უშუალო მონაწილე გამხდარიყო. არ ვიცი, მათ როგორ აღიქვეს. თუ წარმატებული გამოდგა ჩემი ფილმი, ეს ძალიან გამახარებს. მის შექმნაში მთელი სული და გული ჩავდე. მაყურებელს კი ყოველთვის მოსწონს ის, რაც გულწრფელია.

ისეთი რამ ხომ არ გადაგიღია, რისი გამოყენებაც ფილმში ვერ გაბედე, ან გადაღება ვერ შეძელი?

არა, გაუბედაობის მომენტი არ მქონია. გული კი მწყდება, რომ ფილმში გარკვეული მიზეზების გამო, ვერ მონაწილეობს ქალბატონი ვერა წიგნაძე. მინდოდა ქალბატონ ნინო ანანიაშვილთან უფრო ვრცელი საუბარი, რაც მისი დატვირთული გრაფიკის გამო ვერ მოხერხდა. იმედი მაქვს, მომავალში შევძლებ მასზე ფილმის გადაღებას.

პრეზენტაციაზე

სვეტლანა გოჩიაშვილი

ნინო მდივანაძე

...სვეტლანა გოჩიაშვილს ცეკვა ბავშვობიდან უყვარდა. სულ პატარა გოგონა სარკის წინ დგებოდა და საათობით ცეკვავდა ხოლმე. ამან გადააწყვეტინა მის დედას, გოგონა ცეკვის წრეზე მიეყვანა. ქალბატონი სვეტა დღესაც სიამოვნებით იხსენებს იმ პერიოდს, როდესაც ასწავლიდნენ ხალხურ ცეკვებს, რუსულს, ესპანურს. პედაგოგის რჩევით, მან მეცადინეობა საბალეტო სტუდიაში დაიწყო, რადგან იმხანად ქორეოგრაფიული სასწავლებელი ჯერ კიდევ არ არსებობდა. ერთი წლის მერე ვახტანგ ჭაბუკიანის მიერ დაარსებულ სასწავლებელში განაგრძო სწავლა.

ქალბატონი სვეტა დღესაც უდიდესი მადლიერებით იხსენებს თავის პედაგოგებს: „პირველი პედაგოგი თამარ ვიხოდცევა იყო, მერე ვახტანგ ჭაბუკიანი, თეატრში ვმუშაობდი მარია ბაუერთან, რომელიც ბოლომდე ჩემ გვერდით იყო და ზრუნავდა ჩემზე. ისინი მარტო ბალეტს, ან ცეკვას კი არ გვასწავლიდნენ, არამედ ურთიერთობებს და საერთოდ ბევრ ცხოვრებისეულ რამეს“.

სასწავლებელში გატარებულმა წლებმა გამოცდილების თვალსაზრისით მას ბევრი შესძინა, რადგან არაერთ სპექტაკლში მოუწია სერიოზული და მნიშვნელოვანი პარტიების შესრულება. თუმცა ყველაზე საინტერესო ეტაპი შემოქმედებაში ჯერ კიდევ წინ იყო. ქორეოგრაფიული სასწავლებლიდან თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრში მივიდა, თავიდანვე სოლისტად მიიღეს. პირველი სპექტაკლი, რომელშიც იცეკვა, „გედების ტბა“ გახლდათ. „თუმცა მოსწავლეობის პერიოდში, როცა პრაქტიკები გვქონდა, „კონკიაში“ ზაფხულის ფერია ვიცეკვე. ვახტანგ ჭაბუკიანი უდიდეს ყურადღებას მაქცევდა, ხშირად მაცეკვებდა სხვადასხვა სპექტაკლში“.

პირველი სერიოზული პარტია ეს იყო გერტრუდა ბალეტში „ჰამლეტი“. მაშინ 19 წლის იყო, თუმცა გაცილებით უფროსი ასაკის ქალბატონის პარტია შეასრულა, თანაც საკმაოდ წარმატებულად.

პარტნიორთა შორის განსაკუთრებულად ნუკრი მაღალაშვილს გამოჰყოფს და აღნიშნავს, რომ მასთან ცეკვა ნამდვილი ბედნიერება იყო მისთვის.

რაც შეეხება პედაგოგიურ მოღვაწეობას, ცდილობს, ისევე ასწავლოს ახალგაზრდა ბალერინებს, როგორც თავის დროზე მას ასწავლიდნენ თავისი პედაგოგები. სვეტა გოჩიაშვილი განსაკუთრებულად აღნიშნავს, რომ მან ნატალია ზოლოტოვას პედაგოგიური კურსები დაამთავრა: „მისგან ვისწავლე, როგორ ვასწავლო საბალეტო სკოლაში. სწორედ ამიტომაც თეატრში მისვლისთანავე ეს კურსი ავიღე. ჩემთვის დღემდე სამაგალითოდ რჩება ვახტანგ ჭაბუკიანის, ასევე მიხეილ ლავროვსკის მიერ ჩატარებული გაკვეთილები. ბალეტის გაკვეთილი მეტად თავისებურ მიდგომას საჭიროებს, ეს არ არის ადამიანის მხოლოდ ფიზიკური მომზადება, მის პლასტიკაზე მუშაობა. აუცილებელია რეპერტუარის შესწავლა. ამიტომაც ჩემს მოსწავლეებს ხშირად ვუამბობ სხვადასხვა ბალეტის შესახებ. იმ შემთხვევაში, თუ თეატრის რეპერტუარში მომავალში მაინც გამიზნულია რომელიმე სპექტაკლის დადგმა, ვცდილობ, ვუამბო და წარმოდგენა შევუქმნა ამ ბალეტის შესახებ. ეს ერთგვარი კომბინირებული გაკვეთილია“.

ქალბატონი სვეტლანა ცდილობს, გოგონები გაკვეთილიდან მაქსიმალურად დატვირთულნი და შთაბეჭდილების ქვეშ მყოფნი წავიდნენ. რასაკვირველია, თითოეული მათგანი გარკვეული დოზით შეიმეცნებს ყველაფერს. საჭიროების შემთხვევაში კი ეძლევათ ამ ცოდნის გამომჟღავნების საშუალება. თავის აღზრდილთაგან განსაკუთრებით ლალი კანდელაკსა და ნინო გოგუას გამოჰყოფს. „ლალი ჩემთან უკვე პროფესიონალ მოცეკვავედ ჩამოყალიბებული მოვიდა. ნინოსთან კი დღესაც ბევრს ვმუშაობ და უდიდეს იმედს ვამყარებ მასზე“.

ჩემი საყვარელი აღმზრდელი – „ნიუსია“

ირინე ჯანდიერი

ყოველდღიურად ვხვდებოდით თეატრში ქალბატონ ანა წერეთელს, მოკრძალებითა და მამის სახელით მივმართავდით.

ყოველდღიურად იგი ესწრებოდა კლასებს, რეპეტიციებს, მოდიოდა ყოველ სპექტაკლზე; ხაროგდა დასის წარმატებებით, განიცდიდა უმნიშვნელო წარუმატებლობასაც კი, გულშემატკივროგდა თავის მოსწავლეებს, რომლებიც ახლა დასში ცეკვავენ.

გაზაფხულზე, ჟურნალის ერთ-ერთ ნომერში ქალბატონ ანა წერეთელზე მომზადებული წერილი მისივე სიტყვებით დავასათაურეთ – „ფანატიკურად გიყვარდეთ თეატრი!“. ახლა ეს სიტყვები მის მიერ დანატოვარი ანდერძია იმ ახალგაზრდებისადმი, რომლებიც ქართული ბალეტის დღევანდელ სახეს ქმნიან, რომლის სათავეებთან იდგა ჭაბუკიანის სკოლის ერთ-ერთი ბრწყინვალე წარმომადგენელი – ანა წერეთელი, ჩვენი „ანა იოსიფოვნა“.



ბოლო ფოტო. „ლაურნსიას“ პრემიერა. 2007 წლის 19 აპრილი

თითქოს ადვილად უნდა დამეწერა ეს წერილი, რადგან ყველაფერი, რაც მასზე მინდა ვთქვა, წლებით ნაფიქრი და განცდილია. მაგრამ მრავალჯერ დაწყებული საქმე ბოლომდე ვერ მივიყვანე. ძნელი ყოფილა იმ ემოციებისა და განცდების გადმოცემა, რაც ანა წერეთლის ამ ქვეყნიდან წასვლამ დამიტოვა. ერთი თვის შემდეგ 85 წლის უნდა გამხდარიყო. ვფიქრობდი, როგორ უნდა მიმელოცა, ისე როგორც მას შეეძლო, გულთბილად, სიყვარულით. ეს დღე კი მის გარეშე დადგა.

თეატრსა და ცხოვრებაში მას უბრალოდ, შინაურულად „ნიუსიას“ ვეძახდით. მრავალი ათეული წლის განმავლობაში, ქართული ბალეტისათვის უსაზღვროდ თავგანწირული ეს პიროვნება, თავისი საყვარელი კოლექტივის ყოველი დღესასწაულის, გასაჭირისა თუ უბრალოდ, თეატრის ყოველდღიურობის განუყოფელი ნაწილი გახლდათ.

მან თავისი საყვარელი კერპისა და დამრიგებლის, ვახტანგ ჭაბუკიანისაგან კარგად შეითვისა საკუთარი თავისადმი უზომოდ სერიოზული დამოკიდებულება და უსაზღვრო სიყვარული. როგორც პედაგოგი და რეპეტიტორი მომთხოვნი იყო არა მხოლოდ მოსწავლეებისა და კოლეგების მიმართ, არამედ, უპირველესად საკუთარი თავის მიმართ.

მათთვის, ვისაც მასთან ჰქონდა ურთიერთობა, კარგად იყო ცნობილი მისი ყოველთვის მაქსიმალური სიმკაცრე ყველაფრის მიმართ, რაც პროფესიულ საკითხებს უკავშირდებოდა – საბალეტო პოზიციების სისუფთავიდან კოსტიუმისა და გრიმის უკანასკნელ ნიუანსამდე. თვალწინ მიდგას ბედნიერებისა და უსაზღვრო აღფრთოვანებისაგან გაბრწყინებული მისი თვალები, როცა სცენაზე დღესასწაული იმართებოდა – ან პრემიერა, ან ვინმეს დებიუტი, ან, უბრალოდ, რიგითი კარგი სპექტაკლი.

„ანა იოსიფოვნა“ უღალატო მეგობარი გახლდათ – თავისი ახლობლების, თავისი კოლეგების, თავისი შესანიშნავი მეუღლის – გამოჩენილი ქართველი რეჟისორის ვახტანგ ტაბლიაშვილისა; მეგობარი ახალგაზრდებისა, რომელთა მიმართ სიცოცხლის ბოლომდე გამოხატავდა ცხოველ ინტერესს. როგორც რეპეტიტორს, მას ჰქონდა იშვიათი, ფენომენალური მეხსიერება – ბოლო დეტალამდე ახსოვდა კორდებალეტის თითოეული მოცეკვავის მოძრაობა და ცეკვის ყველაზე რთული მონახაზიც კი, ჩვენი თეატრის სცენაზე განხორციელებული ნებისმიერი სპექტაკლიდან.

მე გამიმართლა, რადგან, ქორეოგრაფიულ სასწავლებელში, მისი პირველი პედაგოგიური ნაკადის მოსწავლეთა შორის მოვხვდი. და იმ დღიდან – როგორც სასწავლებელში, ასევე თეატრში, სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე, იგი მარტო პედაგოგი კი არა, მეორე დედა იყო ჩემი, ერთგული მეგობარი და ჩემთვის ახლობელი, მკაცრი, მაგრამ საყვარელი დამრიგებელი. ძალიან ამაყობდა ჩემი წარმატებებით და იმის მიუხედავად, რომ თეატრში ჩემი რეპეტიტორები თამარ ჭაბუკიანი და მარია ბაუერი იყვნენ, ყოველი დილა „ანა იოსიფოვნას“ შესანიშნავი გაკვეთილებით იწყებოდა.

მას მრავალმხრივს ვიცნობდი – როგორც შესანიშნავ შვილს დედისა, რომელიც უსაზღვროდ უყვარდა; როგორც დიდებულ დიასახლისს და მეუღლეს ბატონ ვახტანგისა; როგორც მზრუნველ ბებიას მეზობლის პატარა გოგონა – ქეთისათვის, რომელსაც შვილიშვილივით უვლიდა. მაგრამ, პირველ რიგში, მაინც როგორც გამორჩეულ ბალერინას, ბრწყინვალე სახასიათო მსახიობს და ბრძენ, მომთხოვნ პედაგოგს. ვიცნობდი მგრძნობიარეს, უსაზღვროდ მომთმენს გასაჭირის დღეებში, მაგრამ ყოველთვის ძლიერს, ამაყს და ენერგიით აღსავსე პიროვნებას. ეს თვისებები ქალბატონმა ანამ მთელი ცხოვრების განმავლობაში შეინარჩუნა. მხოლოდ საყვარელი მეუღლის გარდაცვალების შემდეგ მის თვალებში მისთვის უჩვეულო სევდა ჩასახლდა.

ჩვენ ბოლო შეხვედრას ვიხსენებ, გარდაცვალებამდე ერთი დღით ადრე. მე დავინახე პატარა, უმწეო მოხუცი, რომელიც არ ჰგავდა ადრინდელ ანა წერეთელს. ჩემთვის გაუგებარი იყო, ესმოდა კი ჩემი, იგებდა იმას, რაზეც ვესაუბრებოდი. მოულოდნელად მან მკითხა, როგორ მიმდინარეობდა დასის გასტროლები იაპონიაში და უცებ ძველებურად გაუბრწყინდა თვალები და მე ვიგრძენი – ის ბედნიერი და ამაყი იყო. მეორე დღეს ანა წერეთელი გარდაიცვალა.

როცა თეატრში მოვდივარ, ხშირად მგონია, რომ იგი ისევ შემხვდება და ძველებურად მომიკითხავს. ტელეფონის ზარს როცა გავიგებ, მგონია, ის მირეკავს, რომ შემეკითხოს, რაიმე ხომ არ მჭირდება. ამ შეკითხვას მან ბავშვობიდან შემაჩვია. და მე მიჭირს იმ აზრთან შეგუება, რომ ჩვენ შორის აღარ არის ჩვენი „ანა იოსიფოვნა“, ჩემი „ნიუსია“.

Ballet NEWS

კათოლიკოს–პატრიარქის აღსაყდრების 30 წლისთავს მიეძღვნა

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმიდესისა და უნეტარესის ილია მეორის აღსაყდრების 30 წლისთავთან დაკავშირებით ნინო ანანიაშვილის ფონდმა 6 ნოემბერს საქველმოქმედო სპექტაკლი გამართა. ა. ადანის ბალეტ „ჟიზელში“ იცეკვა პრიმა-ბალერინა ნინო ანანიაშვილმა, რომელსაც პარტნიორობას ვასილ ახმეტელი უწევდა. სპექტაკლის ბოლოს მაყურებელს თავად პრიმა-ბალერინამ მიმართა და საზოგადოებას სიმშვიდისა და ერთიანობისაკენ მოუწოდა. „მოვუსმინოთ მის უწმიდესობას, გავიზიაროთ მისი მოწოდება და ვილოცოთ ჩვენს ქვეყანაში მშვიდობისათვის“ – განაცხადა ნინო ანანიაშვილმა. სპექტაკლიდან შემოსული თანხა პატრიარქის ფონდში გადაირიცხა.

გაეროს ეგიდით

ნინო ანანიაშვილი
და რობერტ ვოტკინსი

17-24 ოქტომბერს მსოფლიოში გაეროს კვირეული ჩატარდა. გაეროს თბილისის ოფისისა და საბალეტო დასის თანამშრომლობის შედეგად მზრუნველობას მოკლებული და სოციალურად დაუცველი ბავშვებისათვის საქველმოქმედო სპექტაკლი გაიმართა. ბალანჩინის ბალეტებზე ბავშვთა სახლებიდან 1000-ზე მეტი ბავშვი იქნა მოწვეული. მათ მიესალმა საბალეტო დასის სამხატვრო ხელმძღვანელი ნინო ანანიაშვილი, რომელიც ჩაიკოვსკის „მოცარტიანაში“ იმ დღეს პირველად გამოვიდა თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის სცენაზე. წინა დღით ნინო ანანიაშვილს გაეროს კეთილი ნების ელჩის წოდება მიენიჭა და ამის დამადასტურებელი მოწმობა „ქორთიარდ მარიოტში“ გაეროს კოორდინატორმა რობერტ ვოტკინსმა გადასცა.

დასის გასტროლი აშშ–ში 14 თებერვალის დაიწყება

თბილისის ოპერისა დაბალეტის სახელმწიფო თეატრის საბალეტო დასი 14 თებერვლიდან ერთთვიან გასტროლს გამართავს ამერიკის შეერთებულ შტატებში. დაგეგმილია დასის გამოსვლები სანტა ბარბარაში, ლოს ანჟელესში, ჩიკაგოში, მინეაპოლისსა და აიოვაში. სპექტაკლები ასევე წარმოდგენილი იქნება ნიუ იორკში, ბრუკლინის მუსიკალური აკადემიის თეატრში, სადაც საკმაოდ პრესტიჟული კომპანიების მიწვევა ხდება. საგასტროლოდ საბალეტო დასი წარმოადგენს ბალეტებს: „ჟიზელი“, „დონ კიხოტი“, „ჩაკონა“, „სიზმრები იაპონიაზე“ და იური პოსოხოვის ერთმოქმედებიან ბალეტს, რომლის პრემიერას იანვარში ქართველ მაყურებელს შესთავაზებენ. დასთან ერთად გასტროლზე დაგეგმილია თეატრის ორკესტრისა და „სანო სტუდიის“ მუსიკოს-შემსრულებლების გამგზავრება.

NYC Ballet

საგაზაფხულო სეზონის ბოლოს პიტერ მარტინსმა, ნიუ იორკ სითი ბალეს სამხატვრო ხელმძღვანელმა, საკმაოდ თამამი ნაბიჯი გადადგა და ბალანჩინის თეატრში, სერგეი პროკოფიევის ბალეტი „რომეო და ჯულიეტა“ დადგა. მარტინსმა ბალეტი ორ მოქმედებამდე დაიყვანა, ამოიღო ორ გვარს შორის მტრობა და ბევრი მასობრივი სცენა ვერონის მოედანზე. მიუხედავად იმისა, რომ მარტინსმა თითოეული გმირის ქორეოგრაფიისათვის გამოიყენა რთული ტექნიკური მოძრაობები, ქორეოგრაფია მაინც უსიცოცხლოდ გამოიყურება. მიმომხილველები ერთ ლოგიკურ შეკითხვას სვამენ – რამდენად ორგანულია სიუჟეტიანი ბალეტის დადგმა ბალანჩინის თეატრში?

დიდ თეატრში

გასული თეატრალური სეზონი დიდი თეატრის საბალეტო დასმა პრემიერით დახურა. საბალეტო დასის სამხატვრო ხელმძღვანელმა ალექსანდრე რატმანსკიმ „კორსარის“ ახალი რედაქცია დადგა. ბალეტი მარიუს პეტიპას ქორეოგრაფიას ეყრდნობა. გამოყენებულია დელიბას, პუნის, დრიგოს, ჰერბერის და სხვა კომპოზიტორების მუსიკა. მუსიკალური დრამატურგიის კონცეფცია იური ბურლაკას ეკუთვნის. „სპექტაკლში – 60 წუთი უშუალოდ პეტიპას ეკუთვნის, 20 წუთი რატმანსკის, პლიუს პეტიპას პანტომიმა“, – ასეთ კომენტარს უკეთებენ დამდგმელები საკუთარ ნამუშევარს. ამ დადგმისათვის დეტალურად იქნა შესწავლილი და გაშიფრული ბალეტის ქორეოგრაფიული ნოტაცია, რომელიც ჰარვარდის უნივერსიტეტში ინახება. ორიგინალური პარტიტურა პარიზის ოპერის არქივიდან მოსკოვში ჩაიტანეს, კოსტიუმების ესკიზები პეტერბურგის თეატრალურ მუზეუმში მოიძიეს. შესწავლილ იქნა პეტიპას არქივი. თავად სპექტაკლი, როგორც მიმომხილველები აღნიშნავენ, უდავოდ საინტერესო, დინამიკური გამოდგა. მთავარი პარტიები პრემიერაზე სვეტლანა ზახაროვამ და დენის მატვიენკომ იცეკვეს.

ახალ სეზონში დიდი თეატრის საბალეტო დასი რამდენიმე ბალეტის პრემიერას გეგმავს. მათ შორის ერთი უკვე შედგა. „გაკვეთილი“ – ეს არის დანიელი მოცეკვავისა და ქორეოგრაფის ფლემინგა ფლინდტომის მიერ შექმნილი ბალეტი ეჟენ იონესკოს აბსურდული ტრილერის მოტივებზე. განახლდება ბალეტი „სილფიდა“, დანიელი იოჰან კობბორგის მიერ. ალექსანდრე რატმანსკი კი „პარიზის ალს“ აღადგენს. მაისში საზეიმოდ აღინიშნება ლეგენდარული პრიმა-ბალერინას მარინა სემიონოვას 100 წლის იუბილე.



მარიას თეატრში

2 და 3 ნოემბერს მარიას თეატრის სცენაზე წარმოდგენილი იქნა პროექტი „ცეკვის მეფეები“, რომელშიც მონაწილეობდნენ ნიკა ცისკარიძე (რუსეთი), იტანა სტიფელა (ამერიკა), ანხელ კორელა (ესპანეთი) და იოჰან კობბორგი (დანია). NEW YORK MAGAZINE-ს აზრით, ეს არის 2006 წლის ყველაზე საუკეთესო ქორეოგრაფიული პროექტი. პროდიუსერ სერგეი დანილიანის პროექტი უბრალო და გენიალურია: მსოფლიო ბალეტის ვარსკვლავები თანამედროვეობის აღიარებული ქორეოგრაფების ოპუსებს ცეკვავენ. პროგრამაშია როლან პეტის, ფლემინგა ფლინდტას, კრისტოფერ უილდონის, სტენტონ უელშის, ნილსა კრისტისა და ტიმა პაშტონის ქორეოგრაფია. ეს არის სხვადასხვა სკოლა, სხვადასხვა სტილი, და რაც მთავარია, მოცეკვავეები იძლევიან სრულყოფილ წარმოდგენას ჩვენი დროის მამაკაცის საუკეთესო ცეკვის შესახებ.

გიორგი ალექსიძის ქორეოგრაფიის საღამო

გია ყანჩელი. „ლიტურგია“
(გ. ალექსიძის ქორეოგრაფია)

სანკტ-პეტერბურგის მუსორგსკის სახელობის ოპერისა და ბალეტის მცირე თეატრის სცენაზე ლეონიდ იაკობსონის სახელობის ბალეტის თეატრმა გიორგი ალექსიძის ქორეოგრაფიის საღამო წარმოადგინა – „კლასიციზმიდან პოსტმოდერნიზმამდე“. 22 საბალეტო მინიატურისაგან შემდგარი საღამო ფესტივალის – „ოქროს ნიღაბი“, პროგრამით იქნა წარმოდგენილი.

უძველესი თეატრალური ტრადიციებისა და კულტურის ქალაქში კარგად ახსოვთ ალექსიძის, იმჟამად კონსერვატორიის მესამე კურსის სტუდენტის, ლოპუხოვის ნიჭიერი მოსწავლის, დებიუტი – „კამერული ბალეტისა და მუსიკის საღამო“, რომელშიც მარიას თეატრის სოლისტები და მუსიკოსები მონაწილეობდნენ. იმ საღამომ განცვიფრებაში მოიყვანა მაყურებელი. განვლილ წლებში ქორეოგრაფის სტილი ახლობელი გახდა პეტერბურგელი ბალეტის კორიფეებისათვის. ალექსიძე დგამდა მიხეილ ბარიშნიკოვის, ირინა კოლპაკოვას, ნიკიტა დოლგუშინის, ალა ოსიპენკოს, ირმა ნიორაძისა და სხვა ცნობილი მოცეკვავეებისათვის. 40 წლის შემდეგ გოგი ალექსიძე არ ღალატობს შემოქმედებით პრინციპებს. მას ისევ გამოარჩევს „ორიგინალური კომბინაციები კლასიკური ცეკვის ტექნიკაში, არაჩვეულებრივი მუსიკალურობა, მუსიკალური ნაწარმოების სიღრმეებში წვდომა“ (პეტერბურგული პრესიდან).

ეს საღამო, იძულებითი პაუზის შემდეგ (იგი ქუჩაში თავდასხმის მსხვერპლი გახდა), ალექსიძის პირველი შეხვედრა იყო მაყურებელთან. მაესტრო დაუბრუნდა თავის საქმეს, რომელსაც ოთხი ათეული წელია ემსახურება. როგორც ბალეტის კრიტიკოსები აღნიშნავენ, „ალექსიძე თავისი მუზის ერთგული რჩება და მაყურებელს ისევ ჩუქნის საკუთარ ხელოვნებას, როგორც მაგალითს უმაღლესი პროფესიონალიზმის, გემოვნებისა და სიცოცხლის სიყვარულისა“.

გიორგი ალექსიძის ქორეოგრაფიის საღამოს სპეციალური გადაცემა მიუძღვნა სატელევიზიო არხმა “РТР Культура”. ქართველ ბალეტომანებს საშუალება ჰქონდათ ამ გადაცემით ოდნავ მაინც შექმნოდათ წარმოდგენა ამ საღამოს შესახებ. ალექსიძის ქორეოგრაფიული ჩანაფიქრის საფუძველი მესიანის, შონბერგის, ბეთჰოვენის, შოსტაკოვიჩის, ვებერის, მალერის ნაწარმოებები გახდა. მაგრამ ქორეოგრაფი არ ივიწყებს იმ ქართველ კომპოზიტორებს, რომელთა შემოქმედებას მიმართავდა იგი თბილისში მუშაობის წლებში (ყანჩელი, კეჭაყმაძე). ერთ-ერთი მინიატურა ყანჩელის მუსიკაზე ბალეტმაისტერმა გენიალური სერგო ფარაჯანოვის ხსოვნას მიუძღვნა („ბროწეულის ყვავილი“), რომლის კინო-შედევრების ქორეოგრაფიას თავად ალექსიძე დგამდა.

შეიძლება ითქვას, რომ ამ საღამოს კულმინაცია, გვირგვინი გახლდათ ბრანევიჩის მუსიკაზე შექმნილი მინიატურა „სიკვდილი ვენეციაში“, სადაც ნიკიტა დოლგუშინის უბრალოდ გამოჩენაც კი ამ ქორეოგრაფიულ ქმნილებას კიდევ უფრო აკადემიურს ხდის.

ხულიო ბოკა სცენას ემშვიდობება

22 დეკემბერს მსოფლიო საბალეტო ხელოვნების ვარსკვლავი, არგენტინელი მოცეკვავე ხულიო ბოკა, რომელიც ამჟამად ბუენოს აირესში საკუთარ თეატრალურ დასს ხელმძღვანელობს, სცენას ემშვიდობება. ბუენოს აირესის ერთ-ერთ ცენტრალურ მოედანზე გრანდიოზული თეატრალური სანახაობაა დაგეგმილი. ამ დღისათვის არგენტინის დედაქალაქში საგანგებოდ ჩავლენ მსოფლიოს საბალეტო ხელოვნების ვარსკვლავები. ბუენოს აირესში გამგზავრებას გეგმავს ნინო ანანიაშვილი, რომელთანაც ხულიო ბოკა თხუთმეტი წელი ცეკვავდა ABT-ის სცენაზე. 1 ოქტომბერს, ვაშინგტონში, ახალი თეატრის გახსნისადმი მიძღვნილ გალა კონცერტზე, ისინი საბლოოდ შეხვდნენ ერთმანეთს სცენაზე და ჩაიკოვსკის „გედების ტბიდან“ პა დე დე იცეკვეს.

ეიფმანი თბილისში

თბილისს ბორის ეიფმანის საბალეტო დასი სტუმრობდა. ორდღიანმა გასტროლებმა, თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის სცენაზე, ბალეტომანების დიდი სიხარული გამოიწვია.

ეიფმანის თეატრის შექმნა, 1977 წელს, უნიკალურ მოვლენად მიიჩნიეს. მისი თამამი ექსპერიმენტები არც საზღვარგარეთ დარჩენიათ ყურადღების მიღმა. New York Times-სი ეიფმანს მიიჩნევდა ქორეოგრაფად, თავისუფალს თავის ხედვაში, რომელმაც გაბედა და მიმართა "პინკ ფლოიდის", დ. მაკლაფლინისა და რ. უეიკმანის მუსიკას. ეს რევოლუცია იყო, აფეთქება, რის გამოც მან "დისიდენტი ქორეოგრაფის" სახელი დაიმკვიდრა.

ახლა ეიფმანის რეპერტუარში 40-ზე მეტი ბალეტია. რა გამოარჩევს მის დასს? – უპირველესად განსხვავებული პლასტიკური აზროვნება, გარდასახვის უნარი, ის, რაც ბალეტს სულიერ ხელოვნებად აქცევს.

თბილისური გასტროლების რეპერტუარში ეიფმანმა საგანგებოდ ჩართო მისი გახმაურებული ბალეტი „მუსაგეტი". ეს არ იყო შემთხვევითი – გასტროლები განხორციელდა საერთაშორისო კულტურული პროექტის ფარგლებში, რომელიც დიდი ბალეტმაისტერის ჯორჯ ბალანჩინის ხსოვნას მიეძღვნა.

„მუსაგეტი" ეიფმანმა "ნიუ იორკ სითი ბალესათვის" 2004 წელს დადგა. დასში იგი პიტერ მარტინსმა მიიწვია. " ეს იყო ყველაზე სასიხარულო დღე ჩემს ცხოვრებაში, *ამბობდა მოგვიანებით ეიფმანი.* პიტერ მარტინს თავში მოუვიდა წარმოუდგენელი იდეა, რომ მივეწვიე ბალანჩინის დასში".

„მუსაგეტმა" არ შეიძლება, გულგრილი დაგტოვოთ. ბალეტი ბევრი ასოციაციის მიხედვითაა შექმნილი. ქორეოგრაფმა ბახის, ჩაიკოვსკისა და ქართული ხალხური მუსიკა გამოიყენა. მაგრამ ეს არ არის ბალანჩინის ბიოგრაფია. ბალეტი ეიფმანის წარმოსახვებზეა აგებული, იგი ყვება საკუთარ ბალანჩინზე, იმაზე თუ როგორ გაიაზრა მან „მისტერ ბის" შემოქმედება. „ეს ჩემი აღტაცებაა მისით, ეს ხარკის მიგებაა საბალეტო რუსეთისაგან იმის მიმართ, ვინც ასე გენიალურად განავითარა და სრულყო რუსული საბალეტო თეატრის ტრადიციები და მართლაც შესაძლებელი გახადა ცეკვის განვითარება მეცხრამეტე საუკუნიდან მეოცისაკენ. ეს არ არის ბიოგრაფიული ბალეტი, მაგრამ მასში არის პიროვნება ქორეოგრაფისა, რომლის ცხოვრებამაც საბალეტო დარბაზში განვლო, სადაც ყველაფერი შემოქმედებას ემორჩილებოდა, შემოქმედებას კი სული მისმა ბედმა შთაბერა. მე ჩავიძირე ბალანჩი-

ნის ბალეტებში, გაოგნებული ვიყავი თვით ბალანჩინის პიროვნებით და უკვე აღარ შემეძლო ამ ხიბლისაგან გათავისუფლება“, – აღნიშნავდა ეიფმანი. ბალეტის სახელწოდება „მუსაგეტი“ პირდაპირი ასოციაციაა არა მხოლოდ ბალეტზე, არამედ დიდი ქორეოგრაფის სახელზე. „აპოლონ მუსაგეტი“ ხომ შემობრუნების წერტილი იყო ბალანჩინის შემოქმედებაში.

მოქმედება საბალეტო კლასში ვითარდება. შავი ფარდის მიღმა ჯერ მხოლოდ პუანტები მოჩანს (ბალანჩინს უყვარდა თქმა, რომ ქორეოგრაფად იგი პუანტებმა აქციეს). როგორც აპოლონ მუსაგეტში, ეიფმანის ბალეტშიც ბალანჩინის პირადი ცხოვრებიდან სამი მუზის თემაა განვითარებული. პირველი ქალი (მუზა), რომელიც კლასში მაესტროსთან ცეკვავს, ბალანჩინის მეორე ცოლის – ვერა ზორინას სახეა. შემდეგ ჩნდება მეორე მუზა, ახალგაზრდა მოცეკვავე, რომლისგანაც ქორეოგრაფი ბალერინას ქმნის. ეს სიყვარული ტრაგიკულად მთავრდება, ის ვეღარ ახერხებს ცეკვის გაგრძელებას. ბალანჩინის პირად ცხოვრებაშიც ასე მოხდა. მისი მეუღლე – ტანაკილ ლეკლერკი პოლიომელიტით დაავადდა და ვეღარ შეძლო ცეკვის გაგრძელება. მესამე და უკანასკნელი მუზა – ეს მისი მტანჯველი და გაუზიარებელი სიყვარული სიუზან ფარელია. და როცა ქორეოგრაფის ცხოვრება და შემოქმედება სრულდება, ისმის ქართული მუსიკა, თითქოს ქორეოგრაფი ბრუნდება საკუთარ ფესვებთან, გმირი ცხოვრებიდან მიდის. „ქართული სიმღერა – ეს არის ხიდი ორ კომპოზიტორს, ორ მუსიკალურ სფეროს – ბახსა და ჩაიკოვსკის შორის“, – ამბობდა პრემიერის დღეებში ეიფმანი.

ბალეტის ბოლოს სავარჯიშო ძელი იმსხვრევა და ქორეოგრაფი მასზე ასრულებს ცხოვრებას.

ბალანჩინის აპოლონი მეოცე საუკუნის დასაწყისში მუზებთან ერთად ავიდა ოლიმპოზე. ეიფმანის ბალეტის გმირმა კი ოცდამეერთე საუკუნის დასაწყისში შექმნა შესანიშნავი მუზები და უკვდავი ხელოვნება, დიდების ღირსი. ამიტომაც, ფიქრობენ, რომ ეიფმანმა ბალეტს მხოლოდ ერთი სახელწოდება დაუტოვა – „მუსაგეტი“. ბალანჩინი ხომ თავად გახლდათ თავისი შექმნილი კომპანიისა და გნებავთ, მთელი საბალეტო სამყაროს მუსაგეტი – მუზათა მბრძანებელი.

ეიფმანის თეატრმა თბილისში გასტროლების დროს მეორე ბალეტიც შესთავაზა მაყურებელს – მოცარტის ცნობილი „რექვიემის“ მუსიკაზე შექმნილი ამავე სახელწოდების ერთმოქმედებიანი ბალეტი. როგორც ბალეტმაისტერი აღნიშნავდა, იგი არც ერთ სპექტაკლში არ ყოფილა ისე გულწრფელი, შინაგანად ესოდენ გაშიშვლებული, როგორც მოცარტის „რექვიემში“.

საიდან ვართ? რისთვის ვართ? რანი ვართ? როგორები მოვდივართ ამ სამყაროში? რა გველის მას შემდეგ, რაც მას დავტოვებთ? – ამ კითხვებზე პასუხების გაცემას შეეცადა ეიფმანი „რექვიემში“.

ეიფმანის ბალეტის თეატრის დასმა მაღალი დონის საშემსრულებლო ხელოვნება აჩვენა. პოლიფონიურობა და დრამატიზმი, პლასტიკა და ახალი საცეკვაო ფორმები, კორდებალეტის გამოკვეთილი ფუნქცია ქმნიდა ისეთ სინთეზურ სანახაობას, სადაც ეიფმანის თეატრის ესთეტიკა, მისი საბალეტო ხელოვნების ახალი პრინციპები ვლინდებოდა.

სანკტ-პეტერბურგიდან ეიფმანის ბალეტის თეატრის ჩამოსვლა ბალანჩინის სამშობლოში იმ საერთაშორისო პროექტის ნანილია, რომელიც კომპანია DLA PIPER და ERNST and YOUNG-ის ინიციატივით ჯორჯ ბალანჩინის დაბადების 100 და „ნიუ იორკ სითი ბალეს“ შექმნის 50 წლის (აღინიშნება 2008 წელს) იუბილეებს მიეძღვნა. პროექტის ფარგლებში თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის შენობის წინ ჯორჯ ბალანჩინის ძეგლი დაიდგა (მოქანდაკე ვაჟა მიქაბერიძე). ასეთი ძეგლი, თბილისს გარდა, სანკტ-პეტერბურგსა და ნიუ-იორკშიც დაიდგმება.

ᲫᲔᲚᲘᲡᲬᲘᲜᲐᲨᲘ ᲡᲐᲛᲝᲓᲔᲚᲘ ᲘᲣᲜᲘᲡᲘᲡ ᲯᲝᲠᲯᲘᲡᲐ

კლასიკური ცეკვის ძირითადი ფორმები

ფეხებისა და ხელების ძირითადი პოზიციები

ფეხებსა და ხელებს რამდენიმე ძირითადი პოზიცია აქვთ, რომლებიც განსაზღვრავენ მოცეკვავის თითოეულ მოძრაობას (პას), ხელს უწყობენ გრაციოზულობასა და გამომსახველობას ცეკვაში. კლასიკური ცეკვის სწავლების კურსის ერთ-ერთმა ფუძემდებელმა ა. ვაგანოვამ საბოლოოდ ჩამოაყალიბა ეს მიმართულებები, რომლებიც ცეკვის პრაქტიკაში მე-17 საუკუნიდან გვხდება. ცნობილია ფეხების ხუთი ძირითადი მდგომარეობა. დიდი სურვილის მიუხედავადაც კი შეუძლებელია მეექვსე ისეთი მდგომარეობის მოძებნა, საიდანაც შესაძლებელი იქნება ადვილი და კლასიკური ცეკვისათვის მოსახერხებელი მოძრაობა.

პირველ პოზიციაში
ორივე ტერფი დგას ერთ სწორ ხაზზე ქუსლი ქუსლთან.



მესამე პოზიციაში
ორივე ტერფი ეხება ერთმანეთს ქუსლებით და ერთი მეორის უკან ნახევარი ტერფით დგას.

მეორე პოზიცია
იგივეა, მხოლოდ ქუსლებს შორის არის ერთი ტერფის მანძილი.

მეოთხე პოზიცია
იმგვარია, როგორც მეხუთე, მაგრამ ერთ-ერთი ფეხი წაწეულია წინ, ან უკან იმავე მდგომარეობაში, მეორის პარალელურად ერთმანეთისაგან მცირე ნაბიჯის მანძილითაა დაშორებული.

მეხუთე პოზიციაში
ორივე ტერფი ისე დგას, რომ მთლიანად ეკვრის ერთმანეთს, ასე რომ ერთი ტერფის ქუსლი ეხება მეორე ფეხის ცერს.

ფრანგული და ვაგანოვამდელი რუსული სკოლები ხელების შვიდ პოზიციას იყენებდნენ. ა. ვაგანოვამ კი შემოიტანა ხელების სამი ძირითადი პოზიცია:

პირველი პოზიცია

მომრგვალებული ხელები წინ არის გაწეული დიაფრაგმის დონეზე.

მესამე პოზიცია

ხელები თავს ზემოთ არის აწეული.

მეორე პოზიცია

ხელები მხრების დონეზეა გაშლილი.

Plie

ჩვეულებრივი ფრანგული სახელწოდებაა, რაც ნიშნავს ჩაჯდომას მოცემულ პოზიციებში. თავდაპირველად ჩაჯდომა ნახევარი ზომით კეთდება – დემი პლიე, შემდეგ კი დიდი ანუ მთლიანი ჩაჯდომა – გრანდ პლიე, ჩაჯდომა ცეკვის ყველა მოძრაობას ახასითებს.

Battement

ბატმანები საბალეტო ტერმინოლოგიაში ნიშნავს მოძრაობას გარკვეულ რითმში. მთელი ცეკვის საფუძველი ეს არის Battemants Tanndus (ბატმან ტანდიუს) – გაწევა სხვადასხვა მიმართულებით. ის ისეა მოფიქრებული, გეგონებათ მისმა შემქმნელმა ჩაიხედა ფეხის იოგის აგებულებაში და ფუნქციებში. ამის უბრალო მაგალითიც ამტკიცებს. თუ მოცეკვავე მსუბუქად იღრძობს ფეხს და ამის გამო ვეღარ შეძლებს ფეხზე დადგომას, იგი გულმოდგინედ დაიწყებს ბატმან ტანდიუს შესრულებას, რომ ფეხმა ადვილად აღადგინოს მუშაობა. ცეკვის წინ, ეს ბატმანი „ფეხის გასახურებლად“ (როგორც ჩვეულებრივ ამბობენ) კეთდება. ბატმანები სხვადასხვაგვარია. ამ სურათზე გამოსახულ მოძრაობას Grand Battements-ი ჰქვია.

ვახტანგ ჭაბუკიანის სახელობის
საბალეტო ხელოვნების
სახელმწიფო სასწავლებელი

Vakhtang Chabukiani
Tbilisi Ballet Art State School

www.stateballetschool.ge